№ 2745
ოთხშაბათი,
16 თებერვალი

ცნობის ფურცელი

№ 2745
ოთხშაბათი,
16 თებერვალი

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომ. განცხადებათა კონტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

გაზეთ «ცნობის ფურცელზე» ხელის მოწერა მიიღება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. გაზეთის გაწერა ერთ თვეზე ნაკლებ არ შეიძლება და არა მეტი წლის ბოლომდის.

ხელის მომწერთ, რომელთაც ჰსურთ რაიმე ცნობა მიიღონ კანტორიდან ხელის მოწერის შესახებ ან ფულს გზავნიან რედაქციაში, ან ადრესს იცვლიან, „ცნობის-ფურცლის“ კანტორა უმორჩილესად სთხოვს მათ **გამოუგზავნონ ბანდეროლი ან მოიტანონ ის ნომერი, რომელიც ადრესზედ დაბეჭდილი.**

როცა ვინმე იწერება ადრესის გამოცვლას, მასთანვე ძველი ადრესი და გამოსაცვლელი 40 კაპ. უნდა გამოუგზავნოს რედაქციას. ადრესის გამოსაცვლელი 40 კაპ. შეიძლება ფოსტის მარკებით გამოიგზავნოს.

1 თებერვლიდან წლის დამლევამდის „ცნობის-ფურცელი“ ღირს 5 მ. 75 კაპ.
ცალკე ნომერი გაზეთისა ყოველგან ღირს 3 **კაპ. სურათებიანის დამატებით—5 კაპ.**

სახაზინო თეატრი (აბონემენტის გარეშე)
ხუთშაბათს, 17 თებერვალს, 1905 წელს. ბენეფისი **ვლ. ალექსი-მესხიშვილისა**
ქართულ-დრამატიულ დასის არტისტების მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა
დრამა 5 მოქ. მონესისა **კაი გრაკხი** თარგ. ი. მაჭავარიანისა.
მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
ადმინისტრაცია ამხანაგობისა. რეჟისორი **ვლ. ალექსი-მესხიშვილი.**

სახაზინო თეატრი. ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტ. ლ. დ. დონსკოისა.
ოთხშაბათს, 16 თებერვალს, 1905 წელს ქართ. დრამატიულ საზოგადოების სასარგებლოდ
მოდგენილი იქნება: **„ფაუსტი“**, ოპერა 5 მოქ., მუსიკა გუნოსი
აწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ბუნაკოვა, ხასლავსკაია და სხ. ბ-ნნი: ბოგდანოვიჩი, ობრაზცოვი, სპერანსკი, ხალინსკი, მურატოვი.
ლმეისტერი მიკლაშევსკი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე
თებერვალს—ქართ. წარმ. ბენეფისი ვლ. მესხიშვილისა.

დიდი ვაჭრობა

კავკასიის **პირველი ამხანაგობა დამზადებულ ტანისამოსის** ძმ. აკოფჯანოვებისა და სარქისიანცისა. ნიკოლოზის ხიდი, სახლი ქამოევისა № 25-30.

რადგან დიდ-ძალი საქონელი შეიკრიბა—კაცთა, ქალთა და ბავშვთა დამზადებული ტანისამოსი,—ჩვენ გადავწყვიტეთ დავნიშნოთ სულ **იაფი ვაჭრობა** 20 დღით 1 თებერვლიდან 20 თებერვლამდე. ფასები ქარხნისაზე ნაკლებია. ფასები ულაპარაკოდ. (150—15)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დილით:
მ. ი. ჩიჩინაძე. კბილის 8—9 საათ.
გ. გ. მაღლაშვილი. შინაგანი ოთხშაბ. 9—10 საათ. და კვირაობით 9—11 საათ.
ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.
ნ. ტ. ჟულინი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.
ი. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.
დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, და ნერვებისა 12—1 ს.
ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საშვილოსნო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
ქ. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათ.
ს. ს. ალექსი-მესხიშვილი.—ქირურგია 1—2.
ოპერაციების გაკეთება შეუძლიანთ გარეშე ექიმ-ქირურგებსაც.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით. კრავატები დღეში ღირს სამი მან. საზოგადო და ნომერი—5 მან.
ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.
ტელეფონი № 274.

ექიმი
ი. ა. გოქიელოვი
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის, კანის, შიგნეულის და ნერვების. მიხაილოვის ქ. № 119. აკ. სახლი. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—8 საათამდე.

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირის საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი ფოსტის პირდაპირ № 18. (60—28—16)

კბილის ექიმი
ე. ი. ბალარჯიშვილი
იღებს ავადმყოფებს 10—3 საათამდე და 5—7 მიხეილის ქუჩა № 115. გერმანელთა ტაძრის გვერდით. (30—17—19)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდი!.

ქუთაისში
კბილის ექიმი
დავით ს. რიქინაშვილი
გადავიდა **ვორონცოვის ქუჩაზე** წმ. ნინოს ქალების გიმნაზიის პირდაპირ. იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ. და საღამოს 5—8 საათამდე. (30—0198—27)

ქ. ბათუმში
ექიმი ა. გ. მალალაშვილი
მიიღებს შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—10 საათამდის. ტფილისის და ვლადიკავკავის ქუჩების კუთხეში. კომერციულ ბანკის სახლი. (60—403—12)

ქ. ბათუმში
ექიმი ს. ი. ბეგიშვილი
იღებს ავადმყოფებს (შინაგანი, ვენერიული და საბებიოთ) დილის 9—12 საათ. საღ. 4—6, სმეკალოვის ქუჩა, ვარძელოვის სახლი. (30—0101—31).

ექიმი
გ. ი. ტერ-გრიგორიანცი
შინაგანთა, სპეციალისტი გულისა და ბავშვების ავადმყოფობის, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის 10—11 საათ. და 5—7 საღ. მიხეილის პრ. № 154 **ტელეფონი № 825.** (90—296—37).

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
14 თებერვალი

სინმინტინი, 12 თებერვალი. გუშინ ცხარე ბრძოლები მოხდა მუკდენის მახლობლად. ბრძოლა 16 მილის მანძილზე იყო, სახეპუდან დაწყებული სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ, მთელ ფრონტზე. ბრძოლა გათავდა დღეს დილით. მოელიან, რომ ბრძოლა განახლდება. ამბობენ, ორმოცი ათას იაპონელმა მონგოლიის საზღვარზე გაიარა და ტაკუმენში მივიდაო. ის ხუნხუზები, რომელთაც ვითომ მონაწილეობა უნდა მიეღოთ ლიაოძიავის ბრძოლაში, იაპონიის ჯარი აღმოჩნდა, რომელსაც ჩინური ტანისამოსი ეცვა. დღეს ექვსი ათას იაპონელმა ზარბაზნებით სინმინტინსა და ლიაოხეს შუა გაიარა.

ტოკიო. როგორც სჩანს, რუსებს განზრახვა აქვთ გამოილაშქრონ შახესთან, განსაკუთრებით მარცხენა ფრთაზე. ახალ რკინის გზით მუკდენიდან ფუშანამდე გადააქვთ მოწინავე პოზიციებზე დიდ-ძალი სამხედრო მასალა. მთელ თავიანთ იმედს იაპონელები მომავალ დიდ ბრძოლაზე ამყარებენ. ამიტომ მზადებაში არიან, რომ საბოლოოდ დაამარცხონ რუსები. გუშინ ყველგან თათბირი ჰქონდათ უფროს გენერლებს. იამაგატას თავმჯდომარეობით მოხდა აგრეთვე მინისტრთა თათბირი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს.—3000 ყაზახმა რომელთაც თან რამდენიმე ზარბაზანი ჰქონდათ, გზა მოსჭრეს ხაიჩენთან. ყაზახებს უნდა გაენადგურებინათ საწყობი, მაგრამ სრულიად განდევნილ იქნენ.—დალნში სიკვდილით დასაჯეს 11 ჩინელი, რომელთაც განიზრახეს სურსათის საწყობების გადაწვა.—რუს-ტყვეებში ამ ჟამად ავად არის 16,709 კაცი, ამათგან 3337 კაცი დაჭრილია და 3075 კაცი მძიმე ავადმყოფი.—10 თებერვლის ღამეს რუსის ჯარის როტამ მამიკაისკენ გამოილაშქრა, ხოლო დილით მზვერავი რაზმი მიუახლოვდა ტოუტაიძის. ორგანვე რუსები უკუგდებულ იქნენ.—ძალიან გაზვიადებულია ის საქმე, რომელიც ხაიჩენთან მოხდა, სადაც აფეთქებულ იქნა რკინის გზის ხიდი. ნამდვილად შემდეგი მოხდა: 7 თებერვლის ღამეს, 1½ საათზე, ყაზახთა სოტნა მოუახლოვდა ხიდს ხაიჩენის სამხრეთით, სამი მილის მანძილზე. ყაზახებმა მხოლოდ ოდნავ დააზიანეს ხიდი, რომელიც ხელად შეკეთებულ იქნა.

ხარბინი, 14 თებერვალი. შანხაიში მოვიდა „ნოვი კრაის“ რედაქტორი. იგი იუწყება, რომ რედაქციის, სტამბის და წიგნის მაღაზიის მოსამსახურენი ყველანი კარგად არიანო. თვით რედაქცია, სტამბა და მაღაზია განადგურებულია ყუმბარისაგან.

პეტერბურგი. გენერალ-ადიუტანტ კუროპატკინის უქვეშევრდომილესი დეპეშა, 13 თებერვალს 1905 წელს: „დღეს იაპონელები იერიშს მოტანას განაგრძობდნენ როგორც ცინხეჩენის რაზმის ფრონტზე, ისე იმის მარცხენა ფრთის შემოსავლელად. ყველაზე ბეჯითად იაპონელები მარცხენა ფრთის შემოვლას ცდილობდნენ. კაუტულინის ახლო მდებარე პოზიციების პირდაპირაც წინ წამოიწიეს იაპონელებმა და ამ პოზიციების მარცხენა ფრთის გვერდიდან შემოვლას ცდილობდნენ, მაგრამ ფრთის საშველად გაგზავნილმა კოლონამ იაპონელების ყველა იერიში მოიგერია, სოფ. ტაიგოუსა და ბეიდალინგოუს უღელტეხილზე მოტანილი. რაზმის უფროსი ჰმოწმობს, რომ პოლკოვნიკი გორსკი დიდის მოხერხებით წინამძღოლობდა ჯარსაო. სამწუხაროდ, გორსკი მძიმედ დასჭრეს თავში. რაზმის უფროსი აღნიშნავს აგრეთვე, რომ ციმბირელი ყაზახები გენერალ ბაუმგარტენის უფროსობით მედგრად იცავდნენ თავსაო. ბანიუპუზას მიდამოებში იაპონელებმა დღესაც მოიტანეს იერიში, მაგრამ მოვიგერიეთ. ზოგიერთ პოზიციაზე მოდარაჯე და მოხალისეთა რაზმებმა 12 თებერვალს ღამით ცოტა უკან დააწევინეს იაპონელ დარაჯებს“.

ვაშინგტონი, 13 თებერვალი. იაპონიის ელჩი ტაკაჰირა გამოტყდა, რომ თათბირი ჰქონდა რუზველტთან, მაგრამ უარი განაცხადა და არა თქვა, რაზე ჰქონდა საუბარი. გამოცხადებულია ტაკაჰირას განცხადება, რომლიდანაც სჩანს, რომ იაპონია არა თხოულობს ზავსა, თუმცა მზადაა ზავი ჩამოაგდოს ისეთის პირობით, რასაკვირველია, რომ ზავი ხანგრძლივი გამოდგეს. ტაკაჰირა ბუნებრივად სთვლის იმას, რომ იაპონიის გამარჯვებამ, როგორც ეტყობა, თითქო არ შეარყია რუსეთიო. რუსეთს დიდ-ძალი ჯარი ჰყავს, დიდძალი ფული აქვს და საბოლოო გამარჯვების იმედი აქვს, ამიტომ იაპონიამ ყველა შესაფერისი ღონისძიება მიიღო, რომ ომი ერთს წელიწადს მაინც განაგრძოსო.

პეტროვსკი, 14 თებერვალი. „სიბირსკი ვესტნიკი“ იუწყება, მიმდინარე წელს სათადარიგო ჯარის-კაცების შეკრებას არ აპირობენო.

ტოკიო, 13 თებერვალი. ზოგიერთი გავლენიანი იაპონური გაზეთი რუსეთის მიერ საცდელად გავრცელებულ ზავის პირობას არჩევს. „ნიში-ნიში“ ამბობს: „აქამდე მაგალითი არა ყოფილა, რომ დამარცხებულ სახელმწიფოს თითონ წარედგინოს ზავის პირობა; გამოცხადებული პირობა სულაც არაა საკმაო.“ „ასახი“ ამბობს: „ხსენებული პირობა მეტად გამოურკვეველია და იმის სერიოზულად განხილვა არც-კი შეიძლება“. ნახევრად ოფიციალური გაზ. „კოკუმინ“-ი ჰფიქრობს, ხმებს ზავზე ცოტაოდენი კავშირი აქვთ ნეიტრალურ სახელმწიფოებთან, რომელთათვის ომის გაგრძელება ფრიად სამძიმოა. ცნობები ზავზე ჯერ წინასწარია. იაპონია არ ჩააგებს ხმალს ქარქაშში, სანამ მიზანს არ მიაღწევს.—იაპონელებმა 40 გემზე მეტი გემი დაიჭირეს, ვლადივოსტოკს მიმავალი.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“.
14 თებერვალი.

ბერლინი, 13 თებერვალი. ჰამბურგში ამერიკაში გადასასახლებლად მიმავალ ხალხის სადგომში უწესოება მოხდა. ხალხი, რიცხვით სამი ათასამდე, უკმაყოფილო იყო, რომ 4 კვირაზე მეტს ვეღარ გასტუმრებას და ცუდად გვინახვენო. უწესოება სადილის დროს მოხდა. 4 მოსამსახურე მძიმედ დასჭრეს. მოიწვიეს 30 პოლიციელი, რომლებმაც ხმლები იხმარეს. ბევრნი დაატუსაღეს.

ლონდონი, 13 თებერვალი. ოფიციალურად: უელსის პრინცი და პრინცესა ინდოეთს გაემგზავრებიან. იქ, ალბად, ნოემბერში მივლენ და 1906 წლის მარტამდე დარჩებიან.

ევპატორია. 14 თებერვალი. ევპატორიის სავაჭრო ნავთსადგურის უფროსთან თათბირი იყო ნავთსადგურის მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. საქმე მუშების სასარგებლოდ გადაწყდა.

კოვნა, 14 თებერვალი. პეტერბურგში წავიდნენ ჟმუდის ეპარქიის ეპისკოპოსი ცირტოვტი, კათოლიკეთა მიტროპოლიტი და [illegible] ეპისკოპოსები. ამათ მონაწილეობა უნდა მიიღონ მინისტრთა კომიტეტის სხდომაში, როდესაც იგი განიხილავს საკითხს სარწმუნოების შესახებ.

ლოძი, 14 თებერვალი. ლოძის საქარხნო რკინის გზაზე მატარებლების მიმოსვლა განახლდა.

პეტერბურგი. 11 თებერვალს მინისტრთა კომიტეტმა განიხილა საკითხი, აღნიშნული 12 დეკემბრის ბრძანების მე-5 მუხლში. ამ მუხლით ნაბრძანებია იმ განსაკუთრებულ კანონმდებლობათა გადათვალიერება, რომელიც გამოიცა საზოგადოებრივ წეს-რიგის მტერთა მოქმედების დროს. კომიტეტმა განიხილა 1881 წლიდან დღემდე მომხდარი ამბები და სცნო, რომ მთავრობის მეცადინეობამ ამბოხებათა და უწესოებათა ჩაქრობის საქმეში მაინცა და მაინც სასწრაფო ნაყოფი ვერ გამოიღო. კომიტეტმა სასურველად და საკეთილოდ ვერა სცნო ზოგიერთი დადგენილება და დებულება სახელმწიფო მშვიდობიანობის და წეს-რიგის დაცვის შესახებ. საქმის დაწვრილებით განხილვის შემდეგ კომიტეტმა გამოსთქვა: 1. იმ კანონების გადასათვალიერებლად, რომელიც შეეხება სახელმწიფო მშვიდობიანობის და წეს-რიგის დასაცველ ზომებს და აგრეთვე საპოლიციო ზედამხედველობას, შესდგეს განსაკუთრებული საბჭო უმაღლესის ბრძანებით დანიშნულ კაცის თავმჯდომარეობით. ამ საბჭოში მონაწილეობა უნდა მიიღონ შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრებმა, დასახელებულ უწყებათა სხვა უმაღლესმა მოხელეებმა და სხვა უწყების წარმომადგენლებმა, რომელთა მოწვევაც სასარგებლო იქნება; 2. ხსენებულ საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მიერ შემუშავებული კანონ-პროექტი უნდა შეიტანოს პირდაპირ სახელმწიფო საბჭოში სხვა უწყებათა მიერ განუხილველად.

ოდესა, 14 თებერვალი. ოდესის ლიტერატორთა და ჟურნალისტთა სხდომამ ქალაქის მოურავის თავმჯდომარეობით და პროფესორების მონაწილეობით დაადგინეს, კობეკოს კომისიას შემდეგი რეზოლიუცია გაეგზავნოს: იმისათვის, რომ რუსეთის პრესამ ნამდვილად შეასრულოს თავისი მაღალი დანიშნულება—ხალხის საჭიროებისა და მოთხოვნილების სწორე გამომთქმელი იყოს—აუცილებლად საჭიროა პრესა სრულიად დამოუკიდებელი გახდეს, ადმინისტრაციის გავლენისაგან სრულიად განთავისუფლდეს და მხოლოდ ნაფიცთა სასამართლოს ემორჩილებოდეს.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“
14 თებერვალი.

პარიჟი. საფრანგეთის ელჩს ტოკიოში წინადადება მისცეს, მოსთხოვოს იაპონიის მთავრობას, რომ იმან მიიღოს ზომები უზრუნველ ჰყოს კერძო საკუთრება პორტ-არტურში. იაპონიის მთავრობამ სიტყვა მისცა, რომ აასრულებს მოთხოვნას. რუსეთის მთავრობამ საცირკულიარო ნოტა გაუგზავნა სახელმწიფოებს და მისწერა, რომ იაპონელთა სამხედრო რაზმებმა უკანიდან მოუარეს ჩვენს არმიას რკინის გზის დასავლეთით, გაიარეს ნეიტრალურ მონგოლიაზე და ამით იაპონია არღვევს ჩინეთის ნეიტრალიტეტსო.

ლონდონი. არავის არა სჯერა დეპეშები, ვითომც შესაძლებელ პირობებშია ზავის ჩამოგდების საქმე.

ხუანშანი. დილის რვის ნახევარი. იაპონელთ მოქმედება ცინხენჩენის მიდამოებში შესწყდა. ისინი მოქმედებენ მიცზი-ჩაოხუანქანისაკენ. იაპონელთა მოწინავე რაზმები, რიცხვით ერთ-ნახევარი დივიზია, გამოჩნდა იმპან-ბეიდალინის უღელტეხილთან. უღელტეხილი ჩვენის მოწინავე რაზმების ხელშია.

პეკინი. იაპონელები სცდილობენ დააჯერონ კორეის იმპერატორი წავიდეს იაპონიაში და იქ გამოიუმჯობესოს უკანასკნელ შემთხვევებით შერყეული ჯანმრთელობა.

პარიჟი. როგორც „ლლოიდი“ იუწყება ინგლისის გემი „დრე“, კაპშტადტიდან ანგრუ-პეკვენში მიმავალი, გაირიყა. ფიქრობენ, ყველა მეზღვაურები დაიღუპაო. საქონელი დაკარგულა.

ტოკიო, 13 თებერვალი (ტაიმსი). 10 თებერვალს ღამით რუსეთის ქვეითი ჯარი მიახლოვებია მამჩიაჩის. 11 თებერვალს, დილით რუსეთის მზვერავები მივიდნენ ტუტაიცზისთან. ორივეჯერ დაახევინეს რუსებს.

ლონდონი, 13 თებერვალი. ჰულის კომისიის გადაწყვეტილებას დიდის სიამოვნებით მიეგებნენ. ინგლისს სთვლიან გამარჯვებულად, თუმცა, „სტანდარტ“-ის აზრით, კომისია ძალიან რბილად მოეპყრა რუსეთის ადმირალს და აფიცრებს და ნეიტრალურ ზღვაოსნობის უფლებები გამოურკვეველი დარჩა. „დეილი ტელეგრაფი“-ს აზრით, კომისიის გადაწყვეტილება ამტკიცებს, თუ რა საპატიო ადგილი უჭირავს მხედართა რიცხვის განსაზღვრას. „დეილი-ნიუსი“ ამბობს, რომ ჰააგის კონვენციამ გაიმარჯვაო.

ლონდონი, 14 თებერვალი („სტანდარტი“). იაპონიის ელჩმა ვაშინგტონში კატეგორიულად განაცხადა, რომ არც იაპონიის მთავრობას და არც მას პირადად არა აქვთ მოლაპარაკება ზავის ჩამოგდებაზე; მაგრამ მას არ უუარებია, რომ ჰქონდა ლაპარაკი პრეზიდენტ რუზველტთან. ამ მუსაიფს დეპეშაც გვატყობინებდა. გაცხარებულ მსჯელობას იწვევს ამერიკაში რუსების მოძრაობა იაპონიის მარჯვენა ფრთაზე. ამ მოძრაობას დემონსტრატიული ხასიათი აქვს. მას მიზნად აქვს მალულად მოახდინოს უმთავრესი ჯარების იერიშის მიტანა.

პეკინი, 14 თებერვალი. გაზეთი „ოსაკა ნაინიცა“ იტყობინება, რომ იაპონელების სამოქმედო ცენტრი კორეაში პიონიანია, ხასეგავას უმთავრესი სადგომი, საცა იაპონელთათვის აგებულია ყაზარმები. გაცხარებული მუშაობაა ხმელეთზე, ნავთსადგურებს აუმჯობესებენ. კორეია უთმობს იაპონიას მიწებს ულმიდისა ანუ როიხის კუნძულზე, საცა ფიქრობენ ამოიყვანონ ზღვაში ზღუდე და ბრეკვატერი. აშენებენ დიდ ნავთსადგურს, კენნიხოში, ტაიდონზე, ახლო პიონიანთან, საცა კორეის უპირველესი სავაჭრო ადგილი იქნება. იქ აუარებელი ვაჭრები და მუშებია იაპონელებისა და ისინი ბევრ ფულს შოულობენ.

ბაქო. დღეს მეოთხე დღეა, რაც ქალაქში სიმშვიდე და უშიშრობაა. რადგანაც ნავთის მრეწველების სიეზდის წევრებმა განაცხადეს, რომ შეუძლებელია განაგრძოთ მეცადინეობა ამდენი უბედურების შემდეგო, ამიტომ კვირას დახურულ იქნა სიეზდი. წინდაწინ დაამტკიცეს ხარჯთაღრიცხვა 556 ათას მანეთის დეფიციტით. საბჭოს ეძლევა უფლება ისესხოს 700 ათასი მანეთი, იშუამდგომლოს გაგრძელებულ იქნას საფუთო გარდასახადი ერთის წლით და დაუყოვნებლივ გამოიძიონ სასამართლოსა, ქალაქისა და პრესის წარმომადგენლების თანადასწრებით ის მიზეზები, რომლებმაც გამოიწვიეს ქალაქის დაწიოკება. გადადებულ იქნა დაზარალებულთა სასარგებლოთ 100 ათასი მანეთი. აქ მოვა სომხების კათალიკოსი. იმიერ-კავკასიის ქალაქებიდან იუწყებიან ტელეგრაფით, რომ ყველგან მშვიდობიანობაა. ქალაქის საავადმყოფოს ცნობებით დაწიოკების პირველ დღეს მიუღიათ 136 დაჭრილი, რომელთაგან 28 მოკვდა.

ბათუმი. მაჰმადიანთა საზოგადოების წარმომადგენლები შეიკრიბნენ საბჭოში და თანაგრძნობა და კეთილ განწყობილება გამოუცხადეს სომხებს, თუმცა რელიგიოზური გრძნობები მაინც არ იყო დაწყნარებული. ქარხნებში მუშაობენ, ყუთებს ტვირთავენ, საქონელი გადმოაქვთ გემებიდან. [illegible] დიდ პასუხის გებაშია ბარქასის უბრალო საქონლისთვის. ვაჭრობა დიდს გასაჭირშია.

ხარკოვი. სამრეწველო დაწესებულებების პატრონთა საბჭომ გადასწყვიტა შემოიღოს ათი საათის სამუშაო დრო, ნება დართოს მუშებს ამოირჩიონ წარმომადგენლები საქმის მწარმოებლებთან მოსალაპარაკებლად, გააუქმა ვალდებულება ვადაზე მეტი მუშაობისა და დააწესა დააჯილდოვონ მუშა ავადმყოფობის დროს, თუ ეს ავადმყოფობა გამოწვეულ იყო უბედურ შემთხვევით. ხელფასის ნორმა არ დაუწესებიათ. გაფიცვის დროს ფული არ უნდა ეძლეოდეს.

მორშანსკი, 13 თებერვალი. სახალხო სიფხიზლის კომიტეტთან გაიხსნა უფასო იურიდიულ დახმარების ბიურო.

პარიჟი. „ფიგარო“-ს სიტყვით, სამხედრო მინისტრი უარყოფს ტალაბრიგოისაგან წარდგენილ სისტემას აფიცრების სამსახურში დაწინაურებაზე და სურს განახლოს მისი მოადგილისაგან გაუქმებული სისტემა ამ [illegible] საგნის შესახებ. სამხედრო საბჭომ გადასწყვიტა შეამციროს ხუთი კილოგრამით ქვეითა ჯარის-კაცთა ამუნიციის წონა.

15 თებერვალი.

ომსკი, 13 თებერვალი. ჯარების კომანდირმა დაამტკიცა სამხედრო სასამართლოს განაჩენი, რომლის ძალით ლენქორან-ნაშთბურის პოლკის ორი ჯარის-კაცი უნდა ჩამოახრჩონ: ამ ჯარის-კაცებს გაუქურდნიათ გასულ დეკემბრის 16-ს ნიკოლაევსკში გლეხ ანცუკევიჩის დუქნები და ცოცხლად დაუწვრიათ თვით მედუქნე. დანარჩენ ორს ბრალდებულებს ჩამოხრჩობა ოცი წლის ვადაზე შეეცვალა. 13 თებერვალს განაჩენი სისრულეში მოიყვანეს ნიკოლაევსკში.

ქაბული, 13 თებერვალი („რეიტერი“). ავგანის ემირმა დაუნიშნა ფლეიტერის ქვრივს პენსია. ეს ფლეიტერი მოკლულ იქნა გასული წლის ნოემბერში, ხარბერსკის გასავლელთან; ობლებსაც დახმარება აღმოუჩინა.

კელეცი, 14 თებერვალი. ივანგოროდ-დომბროვის გზაზე მგზავრების და საქონლის მატარებლების მიმოსვლა არ შეწყვეტილა. მხოლოდ ვარშავასთან შესწყდა პირდაპირი მიმოსვლა.

კოზლოვი, 14 თებერვალი. „კოზლოვის გაზეთი“-ს რედაქციამ მიმართა ჟურნალ-გაზეთების საქმეების მთავრობ კომისიის თავმჯდომარეს კობეკოს შუამდგომლობით, რაც შეიძლება ჩქარა განათავისუფლონ პერიოდული გამოცემები ცენზურისაგან. მატარებლების მიმოსვლა იწყება.

* * *

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. გენ. კუროკის მარცხენა ფრთას სამ რაზმად წინ გაულაშქრნია: ერთი რაზმი ცინხეჩენ-ფუშუნის გზით წასულა სოფ. მაძიადიანის მხარეს სინგოლინის უღელტეხილისაკენ, მეორე რაზმი გოუტელინის (იგივე კაუტელინი) უღელტეხილისაკენ წასულა. გოუტელინის უღელტეხილი ბანიუპუზა-ფუშუნის გზაზე მდებარეობს. გენ. კუროპატკინი იუწყება, იაპონელებმა 13 თებერვალს ზარბაზანი დაუშინეს უანფულინისა და გოუტელინის უღელტეხილებსაო. გენ. კუროკის ინპანის გზზეც გაუგზავნია ჯარი, ბეიდალინგოუს უღელტეხილისაკენ. ეს უღელტეხილებიც რომ აიღოს, გენ. კუროკის რამდენიმე უღელტეხილი-ღა დარჩება ასაღები მდ. ხუნხემდე, ფუშუნამდე და ინპანამდე...

სინმინტინიდან იუწყებიან, მთელ ფრონტზე გაძლიერებული ბრძოლააო, მაგრამ რუსის კორესპონდენტების დეპეშებიდან ისე გამოდის, რომ ჯერ-ჯერობით იაპონელები მხოლოდ მარჯვენა ფრთაზე მოქმედებენ ბეჯითად, ცენტრსა და მარცხენა ფრთაზე-კი მხოლოდ ზარბაზნის სროლას სჯერდებიანო, თუმცა-კი, როგორც ეტყობა, ეს სროლა თან და თან ძლიერდება.

გენ. კუროკი ცდილობს ფუშუნამდე და ინპანამდე (მდ. ხუნხეზე) მიაღწიოს და რუსის არმიის მარცხენა ფრთას გვერდიდან მოექცეს. „დეილი ტელეგრაფ“-ი იუწყება, იაპონელებმა 40 ათასი კაცი არტილერიით გადაიყვანეს ფანკოუპენშიო. ფანკოუპენი ტელინის დასავლეთით მდებარეობს, 35 ვერსის მანძილზე მონღოლიის საზღვარზე. თუ ეს სწორე ცნობაა, მაშ, თითქმის, სამი დივიზია ჯარი ზურგიდან მოჰქცევია რუსის არმიას...

ზ. გარანი დეპეშით იუწყება მუკდენიდან: ჩინელები ამბობენ, იაპონელები თავიანთ ცენტრს უფრო და უფრო აძლიერებენ, რუსის ცენტრის გარღვევა უნდოდათო: ცენტრში იაპონელებმა ასობით დადგეს საალყე და სხვა ზარბაზნებიო... მზიანი ამინდი დგას. ძლიერი სამხრეთის ქარი ჰქრის... („რ. ს.“).

„ბერლინერ ტაგებლატ“-ის სამხედრო მიმომხილველი ჰფიქრობს, რუსის არმია მდ. შახედან უკან დაიხევს, მუკდენს მიატოვებს და ტელინში გამაგრდებაო. მიმომხილველი სწერს: რუსის არმიის ორივე ფრთა საშიშ მდგომარეობაშია. ცენტრიც დიდ გაჭირვებაში ჩავარდა მას აქეთ, რაც იაპონელებმა მდ. შახეზე საალყე ზარბაზნები დადგეს. ტელინში რუსები ბეჯითად, გაფაციცებით მუშაობენ და სიმაგრეებს აშენებენ. რუსის არმიას მაშველი ჯარი მოსდის. გენ. გრიპენბერგის ნათქვამიდან სჩანს, რომ მეორე საარმიო კორპუსი მუკდენში ჩასულა კიდევაც, მე-3 და მე-4 მსროლელთა ბრიგადებიც გზაში არიან,—ესე იგი სულ 55 ათასი კაცი მოემატება რუსის მთავარ სარდალს. მიმომხილველს უკვირს რუსების გულუბრყვილობა; მხოლოდ ეხლა გაიგეს, რომ მუკდენში იაპონელი მზვერავები სცხოვრობდნენ და ყველაფერს ატყობინებდნენ თავიანთ არმიასო. უცხოელმა კორესპონდენტებმა დიდი ხანია იცოდნენ ეს ამბავიო. („ნ.“)

„ნ. ფრ. პრესსე“-ს სამხედრო მიმომხილველი სწერს: უკანასკნელ ცნობებიდან სჩანს, რომ იაპონელებს პორტ-არტურიდან მიტანილი დიდი ზარბაზნები დაუდგამთ და პუტილოვის გორისათვის დაუშენიათ. ეტყობა, იაპონელები მარჯვედ უშენენ ზარბაზანს, რადგან თითონ გენ. კუროპატკინი, სხვათა შორის, იუწყებოდა, პუტილოვის გორაზე მიტანილმა იერიშმა ჩვენი ცენტრი მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩააგდოო. (ეს დეპეშა რუსულ გაზეთებში არა ყოფილა დაბეჭდილი). ნუ თუ რუსის სარდლებმა თუ თითონ ვერ გაიგეს, დეპეშებიდან მაინც ვერ შეიტყეს, რომ იაპონელები რუსის ცენტრის პირდაპირ საალყე ზარბაზნებს სდგამდნენ? ამიტომ ძლიერ გვიკვირს, რომ რუსის სარდლებს თავის დროზე შესაფერი ღონისძიება არ მიუღიათ და ეხლა „გაჭირვებულ მდგომარეობას“ უჩივიან. ეს „გაჭირვებული მდგომარეობა“ თავდაპირველად თითონ რუსის სარდლების ბრალია. („ონ. ნ.“).

„რუსკია ვედომოსტი“-ს სამხედრო მიმომხილველი ჰფიქრობს, დიდი ბრძოლა მალე უნდა მოხდეს მანჯურიაში, სანამ მდინარეები გაყინულია, თორემ რამდენისამე კვირის შემდეგ მდინარე ხუნხესა და ტაიძიხეზე ყინული გალხვება და დამარცხებულ არმიას უკან დახევა გაუჭირდება, ამიტომ ისეთი გამოცდილი და ფრთხილი მთავარსარდლები, როგორიც არიან გენ. კუროპატკინი და მარშალი ოიამა, უსათუოდ ეცდებიან, რომ დიდი ბრძოლა ეხლავე მოხდესო. ეს სწორე აზრია, მაგრამ ყველაფრიდან სჩანს, რომ იაპონელებს მტკიცე იმედი აქვთ გამარჯვებისა და უკან დახევას სულაც არა ჰფიქრობენ. ინგლისელი კორესპონდენტები იუწყებიან, იაპონელებს რომ გამარჯვების იმედი არა ჰქონდეთ, ამდენ საალყე ზარბაზანს აღარ დასდგამდნენ თავიანთ პოზიციებზე, რადგან, თუ უკან დახევა მოუხდათ, ამ ზარბაზნების წაღებას ვეღარ მოახერხებენო.

მუკდენიდან დეპეშით ატყობინებენ „რუს“-სა: იაპონელებმა საალყე ბატარეები სოფ. ცუნლუნტუნთან (ცენტრში) დადგეს. მარშალ ოიამასა, გენ. კუროკისა და ოკუს შტაბებს ლიაოიანში აქვთ ბინა. ლიაოიანი ძლიერაა გამაგრებული. იაპონელები თავიანთ მარჯვენა ფრთის (გენ. კუროკის არმიის) მხარესაც ჰმართავენ სანგრებს. გენ. ნოგის არმიიდან მე-9 დივიზია ლიაოიანთან მოვიდა; თანდათან პირველი დივიზიაც მოდის... ხმა დადის, რომ იაპონელებმა გოუბანძი-სინმინტინის რკინის გზა იყიდეს, ან იჯარით აიღესო. იქნება იაპონელებმა რუსის მარცხენა ფრთაზე მოიტანონ იერიში და ცენტრს-კი განგებ ამაგრებდნენ. გენ. ოკუს ბძანება იპოვეს. ბრძანებაში ნათქვამია: „მძიმე და ძნელი ბრძოლა მხოლოდ ეხლა დაიწყება. არმიაში ყველამ უნდა იცოდეს, რომ ომის გათავებამდე ჯერ კიდევ შორსაა. გამარჯვებული ის გამოდის, ვინც სიმამაცესა, მხნეობასა, სიფიცხესა, ამტანლობას იჩენს და ბეჯითად ცდილობს წინადვე დანიშნულ საქმის ასრულებას. უფროსებმა უნდა ჩააგონონ ხელ-ქვეითებს, რომ ყოველი დაგვიანება, ყოყმანი და გაუბედაობა ჯარს მეტ ზარალს აძლევს, ვიდრე გაბედულება და სიფიცხე. აი, ამიტომ ჯარი ყოველთვის წინ უნდა მიდიოდეს და არავითარ სიძნელის წინ არ უნდა იხევდეს უკან... ტყვე იაპონელები ამბობენ: ჩვენ ჯარს მეტად კარგი საჭმელი ეძლევა, თითქმის ყოველ დღე შემწვარ ხორცსა სჭამენ; არა გვცივა; ხორცისა და თევზის კონსერვები გვეძლევა; ამ კონსერვებს იაპონიაში სამხედრო ფაბრიკა ამზადებსო... იაპონელები ამბობენ, ჩვენში ყოველი კაცი მზადაა, სიცოცხლე შესწიროს სამშობლოსაო. ყველაზე საპატიო სიკვდილად სამშობლოსათვის სიკვდილი ითვლებაო...

ამერიკულ გაზ. „სიუნ“-ს ატყობინებენ ვაშინგტონიდან: ამერიკის მთავრობამ განმარტება მოსთხოვა რუსეთის მთავრობას, კრეისერ „ლენა“-ს აფიცრები რუსეთში დაბრუნდნენ და ამით მოცემული სიტყვა დაარღვიესო. როგორც ვიცით, მაშველი კრეისერი „ლენა“ წარსულ სექტემბერში სანფრანცისკოში მივიდა და იქ იარაღი აიყარა. კრეისერის მეზღვაურებმა პატიოსანი სიტყვა მისცეს, იაპონიასთან ომში მონაწილეობას აღარ მივიღებთო. („რ. ვ.“).

ერთა კავშირი

ამას წინად ჩვენ ვწერდით ეროვნულ დამოუკიდებლობის შესახებ, რომ როგორც ადამიანისათვის აუცილებელი საჭიროა პირადი თავისუფლება, ისე ერისთვის საჭიროა დამოუკიდებლობა, რომ ადამიანის თავისუფლება თხოულობს ერის თავისუფლებას.

ასეთი თავისუფლება თავისთავად გულისხმიერობს თვითმოქმედებას და თვითმმართველობას: ვინც თავისუფალია, იმას ის უფლებაც აქვს, რომ თვითონ განაგოს თავისი საქმეები, თვითონ მოუაროს თავის თავს, მით უმეტეს, რომ სხვას, გარეშე ერს არც შეუძლია, გაუწიოს მას პატრონობა. რაკი არსებობს ერი და ეროვნება, უნდა არსებობდეს ეროვნული დამოუკიდებლობა და თვითმმართველობა. არავითარს კულტურას არ შეუძლია აღორძინდეს და განვითარდეს გარეშე ეროვნებისა. ყოველი საზოგადო განათლება და პროგრესი უნდა დამყარდეს ეროვნულ თვისებებზე, ისე, როგორც ამა თუ იმ ადამიანის, ინდივიდის განვითარება შეთანხმებული უნდა იქმნეს მის ინდივიდუალურ ძალებსა და თვისებებთან. ადამიანისათვის დახშული იქმნება მრავალი ცოდნა და გრძნობა, თუ მასში უარვყოფთ ეროვნულ თვისებებს. ადამიანი ნაყოფია მის გარშემო არსებულ ბუნების, წრის, მისი ერის, ისტორიის, ტრადიციების, ზნე-ჩვეულებათა, ხასიათის, ენის. ეროვნული თვისებები და ძალები უძლიერესი იარაღია, რომლითაც შეგვიძლია მივაღწიოთ სავსებით ადამიანის სულამდის და ვინც უკუაგდებს ამ ეროვნულ თვისებებს, ის ვერასოდეს ვერ განავითარებს სავსებით ადამიანის აზრებს და გრძნობებს.

ამიტომ კაცობრიობის განვითარება მოითხოვს, რომ ეროვნებას კი არ უნდა ვსდევნიდეთ, არამედ უნდა მივანიჭოთ მას სრული თავისუფლება. საჭიროა, რომ გამოცხადდეს ისეთი ეროვნული დეკლარაცია, როგორიც იყო 1789 წლის „დეკლარაცია ადამიანის და მოქალაქის უფლებათა“, საჭიროა „დეკლარაცია ერის უფლებათა“: ერიც, ეროვნებაც ისე ხელშეუხებელი უნდა იყოს, როგორც ხელშეუხებელია ადამიანის პიროვნება. მაშინ დამყარდება მშვიდობიანობა, მაშინ წავა სისწრაფით სოციალური განვითარება.

მაგრამ თუ აღვიარებთ ეროვნულ თავისუფლების საჭიროებას, ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ ვითომც ვქადაგებდეთ ერთა შორის მტრობას და უთანხმოებას, ერთა განცალკევებას. პირიქით, ნამდვილი თანხმობა და ერთობა ერთა შორის დამყარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ერები იქნებიან ყველანი ერთნაირად თავისუფალნი, თანასწორნი, იქნებიან აღჭურვილნი ერთნაირის უფლებებით. ძმობა, ჭეშმარიტი ძმობა არის მხოლოდ იქ, სადაც არის თანასწორობა. თორემ როდესაც ერთი ერი ბატონია, მეორე—მონა, ერთი ერი დაჩაგრულია, მეორე—დამჩაგვრელია, იქ განა შეიძლება თანხმობა და ერთობა? ასეთი ერები ყოველთვის მტერნი იქნებიან ერთმანეთის და ეს მტრობა არ მოისპობა, სანამ არ მოისპობა უთანასწორობა ერთა შორის. ამისათვის ვისაც-კი ნამდვილად სწადია ერთა სოლიდარობა და თანხმობა, ყველაზე უწინარეს უნდა მოითხოვოს ერთა გათანასწორება, რომ ყოველი ერი იყოს თავისუფალი, დამოუკიდებელი, თვითმმართველი. მაშინ დამკვიდრდება ჭეშმარიტი კავშირი თავისუფალ და თანასწორ უფლებიან ერთა შორის, მაშინ დამყარდება დედამიწაზე დიდებული კავშირი და ძმობა მთელის კაცობრიობისა, რომელიც საოცნებო, სანატრელი საგანი უნდა იყოს ყოველის ადამიანისათვის. მტრობა, მონობა, ერთმანეთის ჩაგვრა—წარსულს ეკუთვნის, მომავალი მხოლოდ ადამიანთა და ერთა თანხმობას, ძმობას, და კავშირს ეკუთვნის.

მთელი კაცობრიობის კავშირი, ფედერაცია, შორეული მომავლის საქმეა; მის მოსაახლოვებლად, მის განსახორციელებლად დღეს უნდა მივმართოთ ჩვენი ძალი და ღონე იმ ერთა დაკავშირებისაკენ, რომლებიც მეზობლად ცხოვრობენ, რომელთა დაახლოვება მოუნდომებია თვით ბუნებას, რომელთა ინტერესები ისე არიან ერთმანეთზე გადაბმული, რომ არც ერთის ამ ერთაგანის კეთილდღეობა არ შეიძლება გარეშე საერთო კეთილდღეობისა ასეთ პირობებში ვიმყოფებით, მაგალითად, კავკასიის ერები. ისტორიული ოცნებები უნდა უკუ-ვაგდოთ დღეს ყველა კავკასიელებმა. დღეს ჩვენი ეროვნული ინტერესები დაკავშირებულია კავკასიის საერთო ინტერესებთან, დღეს ქართველს, სომეხს, გარდა სამშობლო საქართველოსი, სამშობლო სომხეთისა—აქვს სამშობლო კავკასია. კავკასიელთა ეროვნული თვითარსებობა განუშორებელია კავკასიის თვითარსებობისაგან...

მაგრამ ამ ჟამად ჩვენ გვინდა მივაქციოთ მკითხველის ყურადღება საზოგადოდ ეროვნებასა და ერთა კავშირზე და შემდეგ წერილში განვიხილავთ, თუ რა და რა გვარი კავშირი არსებობს დღეს ერთა და სახელმწიფოთა შორის, რომელი არის მათგანი უკეთესი, რომელია კავშირი მომავლისა.

კალამი.

ახალი ამბავი

◆ როგორც ნამდვილად გავიგეთ, ბათუმის ქალაქის საბჭოს მიერ ამას წინად გამგეობის წევრად **არჩეული ბ-ნი გ. ვოლსკი ადმინისტრაციას** არ დაუმტკიცებია ამ თანამდებობაზედ.

◆ **ამიერ-კავკასიის რკინის გზის** სამმართველოს მოსამსახურეთა შორის 9 თებერვლიდან დიდი სიცოცხლე შეიტანა იმ ცირკულიარმა, რომელიც დაურიგდა განყოფილებათა უფროსებს. ამ ცირკულიარში ნათქვამი იყო, რომ მოსამსახურეებს ნება ეძლევათ შეიკრიბნენ და მოილაპარაკონ თავიანთ საჭიროებებზე. მოსამსახურეებს უკვე ჰქონდათ თათბირი. მოსამსახურეებმა, სხვათა შორის, დაადგინეს: 1. საყოველთაო უსასყიდლო სწავლება რკინის გზის მოსამსახურეთა შვილებისა და საშუალო სასწავლებლის დაარსება ვაჟთა და ქალთათვის; 2. ვაჟების და ქალების თანასწორობა სამსახურის დაწინაურებაში; 3. ამხანაგური სამართალი; 4. ჯამაგირების მომატება; 5. უმცირესი ჯამაგირი მოსამსახურეთა უნდა იყოს 480 მან.; 6. უფრო ყურადღებით მომზადება სამკურნალო წამლისა მოსამსახურეთათვის და მრავალი სხვ. სამწუხაროდ, ყველა ეს შეეხება მხოლოდ რკინის გზის მმართველობის კანტორებში მოსამსახურეთ. ამათზე უფრო გაჭირვებულნი კი რკინის გზის ლიანდაგის მოსამსახურენი არიან. მმართველობის ზოგიერთ მოსამსახურეთ არ დაავიწყდათ ლიანდაგის მოსამსახურენი და მათი საჭიროებაც ჩაურთეს თხოვნაში. საჭიროა, ლიანდაგის მოსამსახურეთაც მიეცეთ ნება შეკრებისა და თავიანთ აზრის გამოთქმისა.

◆ როგორც უკვე ვწერდით, **ბათუმის ქალაქის დეპუტაცია**, რომელიც ბათუმის დაკეტილ გიმნაზიის გახსნას თხოულობს, წარუდგა მთავარ-მართებლის მოადგილეს გენერალ მალამას. ბ-ნმა მალამამ მოისმინა შუამდგომლობა და განაცხადა, რომ განკარგულებას მოვახდენ ამ დღეებშივე განახლდეს სწავლა გიმნაზიაში; არავინ არ დაისჯება უწესოებაში მონაწილეობის მიღებისათვის, გარდა ერთის მოსწავლის ზ—ძისა, რომელიც პასუხის გებაში იქმნა მიცემულიო.

◆ გუშინ-წინ ბელგიის უსახელო საზოგადოების წარმომადგენელმა აცნობა ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ ქუჩების მოკირწვლას ჯერ-ჯერობით ვერ განვაგრძობთ, რადგან **ფოთში მუშაობა შეჩერებულია** და ქუჩის საკირწლავ მასალით დატვირთული გემი უკანვე ბრუნდება ხოლმე. მიზეზი დღევანდელ ცხოვრების პირობებია და ჩვენ ბრალი არ გვიდევსო.

◆ როგორც დანამდვილებით გავიგეთ, ბაქოს გუბერნატორს თავ. ნაკაშიძეს შუამდგომლობა აღუძრავს, უსათუოდ დაინიშნოს **გამოძიება ბაქოში მომხდარ ამბების** გამოსაძიებლად. ეს გამოძიება, გუბერნატორის თხოვნით, უნდა მოხდეს საზოგადოების ყველა წოდებისა და პრესის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

◆ 10 თებერვალს ბაქოს გუბერნატორის სადგომში მოხდა მაჰმადიანთა, სომეხთა და მართლმადიდებელ საზოგადოების და ინტელიგენტთა კრება. ამ კრებაზე შესდგა, გუბერნატორის თავმჯდომარეობით, **„მშვიდობიანობის დამცველი კომიტეტი“.** თუ რამ მოხდა ბაქოში, ყველაფერი ამ კომიტეტს უნდა ეკითხოს.

◆ **ბაქოში**, როგორც „ტ. ლ.“-ს ატყობინებენ, სამწუხარო ამბების გამო მოსალაპარაკებლად მოხდარა კრება ადგილობრივ ნაფიც ვექილებისა. კრებამ კომისია აარჩია მომხდარ ამბების მიზეზთა გამოსაკვლევად.

◆ ბაქოს ნავთის მწარმოებელთა საბჭომ **ბაქოში დაზარალებულთა სასარგებლოდ** გადასდო 100 ათასი მანეთი.

◆ 13 თებერვალს მოხდა ტფილისის **ვაჭართა საზოგადოების კრება.** კრებამ განიხილა 1904 წლის ანგარიში. ანგარიშის დამტკიცების შემდეგ მოხდა არჩევნები. სარევიზიო კომისიის წევრებად აარჩიეს ი. ლ. ტერ-ოსიფიანცი და ა. პ. ახვერდოვი. სახაზინო პალატის ხარჯის გამწერ საზოგადო საკრებულოს წევრებად აარჩიეს ა. ი. მილოვი, ა. თ. ფრიდონოვი; პირველ საკრებულოს წევრებად—ს. ს. გულიევი, ა. ს. არუთინოვი, მეორესი—წევრის მოადგილედ ს. გ. სარიევი: მესამეში—წევრებად ს. ი. ალიხანოვი, ტ. ა. ვლასოვი, ხოლო მოადგილეებად—ბ. გ. კრასნიანსკი, ა. გ. ქიშმიშევი და ი. ი. სულხანოვი. შემდეგ კრებამ დაადგინა გადასდოს 1200 მან. ტფილისის საკომერციო სასწავლებელში ღარიბ მოსწავლეთა სტიპენდიების დასანიშნავად. ამ ჟამად საზოგადოებას ჰყავს 20 სტიპენდიანტი. დასასრულ კრებამ, შადინოვის მოხსენების თანახმად, საჭიროდ სცნო საფონდო და სავაჭრო ბირჟის დაარსება და დაავალა ვაჭართა საზოგადოებამ იკისროს ყოველივე ხარჯი, რაც საჭირო იქმნება ბირჟის დასაარსებლად. სავაჭრო სკოლის სამზრუნველო საბჭოს წევრებად არჩეულ იქმნენ ა. ნ. მილოვი და ი. ლ. ტერ-ოსიპიანცი. ბოლოს ხმის უმეტესობით ვაჭართა მამასახლისად არჩეულ იქმნა ი. ა. შადინოვი, ხოლო იმის ამხანაგებად—ვ. ს. მილოვი და ეგიაზაროვი.

◆ როგორც ოფიციალურ ცნობებიდანა სჩანს, წელს **აუარებელი აბრეშუმის თესლია** შემოტანილი უცხოეთიდან. სულ პირველ ოქტომბრიდან 15 იანვრამდე შემოუტანიათ ბათუმის დამოჟნით 1500 ფუთზე მეტი და ბევრი კიდევ ბათუმსა და ნოვოროსიისკის ნავთ-სადგურებშია და მუშათა გაფიცვის გამო ფირმების პატრონებს არ შეუძლიათ თესლი მიიღონ.

◆ როგორც სოხუმიდან გვატყობინებენ, **გაგრის საკლიმატო სადგურის** მიმდინარე წლის ხარჯების დასაფარავად მთავრობას გადაუდვია ნახევარი მილიონი მან. დღემდე, როგორც გაზეთებიდან ვიცით, ხსენებულ სადგურის მოსაწყობად დახარჯულია — 2,700,000 მანეთი.

◆ ამ ჟამად სააბრეშუმო სადგურში წარდგენილია შესამოწმებლად სხვა-და-სხვა ფირმის მიერ 150,000 კოლოფი **აბრეშუმის თესლი.** როგორც ანალიზით აღმოჩნდა, უმეტესი ნაწილი შემოწმებულ თესლისა უვარგისია, განსაკუთრებით ადგილობრივად —(დ. ხონსა, ზუგდიდსა და სხვა). დამზადებულ ფირმებისა.

◆ სრულიად **სომეხთა კათოლიკოსი** უქეიფობის გამო, როგორც „ტ. ლ.“ გადმოგვცემს, ბაქოს ვეღარ წავიდა.

◆ რამდენიმე დღეა უსახელო საზოგადოების ვაგონებმა უკვე დაიწყო პირდაპირი მოძრაობა ერევნის მოედნიდან სადგურამდის. ამ მოძრაობას ერთი თვალსაჩინო ნაკლი ახლავს. საქმე ის არის, რომ ვაგონები ვოგზალზედვე ივსება ხალხით, ასე რომ გზა-გზა ხალხი 10—15 წუთს ელოდება, ვიდრე თავისუფალ ადგილს იშოვის. მომატებული ვაგონები კი რომ იყოს, ამ ნაკლს თავიდან ავიცდენდით.

◆ ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ: „დედათა პირველ გიმნაზიის სომეხი მოწაფენი გულწრფელ მადლობას უცხადებენ მეგობარ ქართველებს ძმურ თანაგრძნობისათვის იმ საშინელ უბედურობის დროს, რომელიც ისე მოულოდნელად თავს დაატყდა ჩვენს, ისედაც დაჩაგრულ, შევიწროვებულ ერს. იმედია, ეს თანაგრძნობა არ იყო წუთიერი; იგი უფრო ღრმად გაიდგამს ფესვებს და ნაყოფს მოუმზადებს სასურველ მომავალს“.

◆ როგორც „ინვალიდ“-შია გამოცხადებული, 2 ოქტომბერს ჭრილობისაგან მომკვდარა პოდპორუჩიკი გიორგი დიმიტრის ძე ლორთქიფანიძე.

◆ კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ გამოიწერა ხარკოვის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისაგან ბოსტნეულობისა და სხვა ხორბლეულობის თესლი.

◆ თელავიდან გვატყობინებენ, რომ 12 თებერვალს, როდესაც ტფილისის გრენადერთა პოლკიდან გაქცეული სალდათი ისააკ ზარდიაშვილი იმყოფებოდა გუსარიშვილის სახლში, თავს დაეცნენ საერობო დარაჯნი. ზარდიაშვილი ფანჯრიდან გადახტა, მაგრამ საერობო დარაჯმა ბარსენოვმა თოფი ესროლა და მარცხენა ხელში მძიმედ დასჭრა. დაჭრილი ზარდიაშვილი ბაშკადიკლარის სარეზერვო ბატალიონის ლაზარეთში მოუთავსებიათ.

◆ სოფ. ზემო-ავჭალაში არსებული სამრევლო სკოლა, როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, უნდა დახურულიყო იმის გამო, რომ გლეხებს გამოუცხადეს ამიერიდან სკოლის სახლი, შეშა და სკოლის მოჯამაგირე თქვენ ხარჯზე უნდა იყოსო. გლეხები გაიძახოდნენ, ისევ დაიხუროს, ვიდრე ეს ხარჯები ვიკისროთო. ამ დღეებში სასულიერო უწყების წარმომადგენელს კვლავ ჰქონია გლეხების ყრილობაზე ბაასი და უთხოვნია მხოლოდ შეშა და მოჯამაგირე, სკოლის ქირას ისევ მთავრობა მისცემსო. გლეხობა ამ პირობაზე დათანხმებულა და განაჩენზედაც ხელი მოუწერიათ.

◆ პოლიციის მე-9 ნაწილში, ნიკოლოზის მოედანზე, 12 დეკემბერს ღამე გასტეხეს ხორცის საქალაქო დუქანი. გაუტეხიათ აგრეთვე კასსა და წაუღიათ მხოლოდ 9 მან. 98 კაპ.

◆ ტფილისის სამოსამართლო პალატამ 15 თებერვალს განიხილა საქმე ტფილისის მცხოვრებთა კრიკორ მალხაზიანცისა, სარქის აფშაროვისა და ტიგრან ეგიაზარიანცისა. პირველს ორს ჰბრალდებოდა პოლკოვნიკის იაკობ ლაზარევის მოკვლა და გაქურდვა, ხოლო მესამეს—მოპარულ ნივთების დამალვა. ოლქის სასამართლომ, როდესაც ეს საქმე განიხილა, დამნაშავედ იცნო სამივე ბრალდებული და გადაუწყვიტა: მალხაზიანცს და აფშაროვს ყოველივე უფლების ჩამორთმევა და კატორღაში გაგზავნა მალხაზიანცს—13 და აფშაროვს 11 წლით, ხოლო ეგიაზარიანცს ზოგიერთ უფლების ჩამორთმევა და 6 თვით საპყრობილეში დაპატიმრება. სამოსამართლო პალატამ გუშინ, კარგა ხანს თათბირის შემდეგ, გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც აფშაროვისა და მალხაზიანცის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება დაამტკიცა, ხოლო ეგიაზაროვს სასჯელი მანიფესტის ძალით 2 თვემდე შეუმცირა.

◆ 13 თებერვალს, მე-7 ნაწილში, ტფილისის მოქალაქეთ დარჩო ვართანოვსა და გევორკ ასლამაზოვს დაუთვრიათ ბორჩალოს მაზრის მცხოვრები დიმიტრი ახვერდოვი, შემდეგ გაუყვანიათ მივარდნილ ქუჩაში და გაუძარცვავთ. ბოროტმოქმედთ ახვერდოვისათვის წაურთმევიათ ფულად 65 მან. და დიდი ვერცხლის ქამარი. ვართანოვი და ასლამაზოვი დააპატიმრეს.

◆ ჩვენ გვატყობინებენ ახალქალაქიდან, რომ ადგილობრივ სამაზრო სამმართველოს მდივანი პასუხის გებაში იქმნა მიცემული სახელმწიფო ფულის გაფლანგვისა გამო.

◆ ტფილისის ქალაქის მოურავმა გუშინ, 15 თებერვალს, წარუდგინა გუბერნატორს დასამტკიცებლად ქალაქის საბჭოს დადგენილება ტ. ა. ენფიაჯიანცის ქალაქის გამგეობის წევრად არჩევის შესახებ.

◆ სოფ. მაჭახლის პირში (ბათუმის ოლქი) საქონლის ჭირი გაჩენილა.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ ორშაბათს, 14 თებერვალს, დილით თითქმის ყველა სასწავლებელი დაკეტილი იყო. გიმნაზიის მოსწავლეებს კარებზე განცხადება დაუხვდათ—გიმნაზია ახალ განკარგულებამდის დაკეტილი იქნებაო. ამ გვარადვე რეალურ სასწავლებელშიაც. საბალოსნო სკოლის მოწაფენი გამოემართნენ ქალაქისაკენ. ამათ მიეგებნენ გიმნაზიელები და რეალისტები... მაღაზიების დარაბები დახურულია. ქალთა გიმნაზიის მოწაფე ქალები თვით გიმნაზიაში არიან კარ-ჩაკეტილი, ვაჟების გიმნაზიიდან მოწაფენი გაემართნენ იქითკენ, მაგრამ, მეკარეებმა მოასწრეს კარების მიკეტვა. გიმნაზიის წინ აუარებელი მოწაფეა თავმოყრილი.

◆ სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველ კომიტეტის წევრად არჩეულ იქმნენ თ. დ. ო. ნიჟარაძე და დ. ბ. მდივანი, ნაცვლად გადაცვალებულის ა. თ. ნანეიშვილისა და საკრედიტო ბანკის თავმჯდომარედ არჩეულის თ. ს. ლორთქიფანიძისა. დამფასებლების კომისიაში ორი წევრის მომატების საქმე მომავალ მაისის საზოგადო კრებისათვის გადასდეს გადასაწყვეტად. გამგეობა საჭიროდ ხედავდა ამ მომატებას, რადგან ბანკის საქმეები გაიზარდა და ეხლანდელი რიცხვი დამფასებლებისა ვერ უძლევს საქმესაო.

ბაქოს ამბები

14 თებერვალს ტფილისის მოქალაქეთა რწმუნებულების კრებამ ერთხმად დაადგინა, გადასდოს ბაქოში დაზარალებულთა სასარგებლოდ 600 მ. ამავე დღეს კრებამ დაადგინა, აარჩიოს განსაკუთრებული კომისია 10 კაცისაგან, რომელთაც ხელის მოწერა უნდა გამართონ დაზარალებულთავე სასარგებლოდ.

◆ ი. ი. ფითოევის და ამხ. სავაჭრო სახლმა შესწირა 2000 მან. **ბაქოში დაზარალებულთ**, განურჩევლად ეროვნებისა.

გუშინ ქალაქის მოურავს მოუვიდა ბაქოს ქალაქის მოურავის **ბ-ნ ირეცკისაგან დეპეშა**, რომ თავ. ი. გ. ამილახვარი ჩასულა

ბაქოს; სადგურზე დიდ-ძალი საპატიო პირი მიგებებია; ქალაქში მყუდროება არისო.

—

სომხთა ვანქის ტაძრის ეზოში ქართველთა მიერ პანაშვიდის გადახდის დროს დაზარალებულთა სასარგებლოდ შეიკრიბა 394 მან.

მცირე შენიშვნა

გუშინდელ ჩემს წერილში ბ. თ. ჟორდანიას შესახებ ორი დიდი კორრექტურული შეცდომაა, რომელიც მეტად ამახინჯებს სტატიის აზრს.

ერთი—შეცდომითაა აწყობილი სათაური, რომელიც ნამდვილად უნდა იყოს ასე: „ბ. თ. ჟორდანია საკუთარ თავის წინაშე“.

მეორე—ტექსტში გამოტოვებულია ბ. ჟორდანიას წერილი, რომელიც დაიბეჭდა „ივერიის“ 1903 წ. მე-218 ნომერში და რომელზედაც დამყარებულია მთელი ჩემი სტატია. ეს წერილი უნდა დაბეჭდილიყო ამ სიტყვების შემდეგ: „მე ვამბობ ბ. თ. ჟორდანიას შესახებ“...

ბ. თ. ჟორდანიას წერილი შემდეგია: „ეს რამდენიმე ხანია, რაც ჩემთან პირად ანგარიშებით დაბნელებული პირნი ჩვენს ქართველ საზოგადოებაში მრავალ გვარ ჭორებს ავრცელებენ და ცილს მწამებენ, ვითომც მე ხელი შემეწყოს სამეგრელოს სკოლებიდან ქართული ენის განდევნისთვის და მომხრე ვიყო, ან ოდესმე ვყოფილვარ მეგრულს ენაზედ ან მუნჯურ მეთოდით საგნების სწავლებისა. მე ამით საქვეყნოდ ვაცხადებ, რომ ეს ცილის წამება მოგონილ-მოჭორილია ჩემის მტრებისაგან და ამ ცოტა ხანში ჩემს სიმართლეს საბუთიანად დავამტკიცებ. მე აზრადაც არ მომსვლია, არათუ ვისთვისმე მეთქვას, ვითომც მეგრელნი ქართველები არ იყვნენ და მათი დედა-ენა ქართული არ იყოს. მანამდე კი ყველას ვარწმუნებ, რომ ჩემს სიყრმიდან აღზრდილს სიყვარულს სამშობლო ენისას—ქართულისას—საფლავში თან წავიტან და ამის ღალატს არავის ვაპატიებ.“

მომყავს რა დღეს ბ. ჟორდანიას წერილი, მკითხველს ვთხოვ, ხელახლა გადაიკითხოს ჩემი გუშინდელი სტატია. ქ—ი

რუსეთის ქრონიკა

—

მოსწავლეთა გაფიცვა. ხარკოვის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ნება მისცა სტუდენტებსა და ტეხნოლოგებს შეკრებილიყვნენ უნივერსიტეტის საქტო ზალაში. შეიკრიბნენ 1122 კაცი. დიდი ხმის უმრავლესობით (7 იყო მარტო წინააღმდეგი) კრებამ დაადგინა—შესწყდეს ლექციების კითხვაო. კრებაში მონაწილეობას იღებდნენ პროფესორები და პრივატ-დოცენტები.

ვარშავის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა, ვარშავის გენერალ-გუბერნატორის ნებართვით, გამოაცხადა, რომ ვარშავის საშუალო სკოლებში, რომელნიც სახალხო განათლების სამინისტროს ექვემდებარებიან, სწავლა შეწყვეტილია ახალს განკარგულებამდე (სწავლა იქნება პირველ და მეექვსე სავაჟო გიმნაზიებში, პირველ და მესამე საქალებო გიმნაზიებში). მართლ-მადიდებლებისათვის მალე მოაწყობენ სწავლის საქმეს.

გენერალ-ადიუტანტი ჩერტკოვი, ვარშავის გენერალ-გუბერნატორი, ღრმა მოხუცებულობისა და უკიდურესს დაქანცვის გამო, სტოვებს თავის თანამდებობას და საცხოვრებლად მიდის კიევის გუბერნიაში, თავის მამულში. მის ადგილზე ინიშნება კავალერიის გენერალი გრაფი იგნატიევი მეორე, რომელიც წინად კიევის გენერალ-გუბერნატორი იყო. („რ. ვედ“.).

გენერალი გლაზოვი, სახალხო განათლების მინისტრი, როგორც „ბირჟევია ვედომოსტი“ ამბობს, მთავარ-შტაბის უფროსად ინიშნება. ეს თანამდებობა მთელი წელიწადი თავისუფალია.

მღვდელი გაპონი. უწმინდესი სინოდი შეჰკითხებია შინაგან საქმეთა სამინისტროს, სად იმყოფება ეხლა მღვდელი გაპონი, რომელიც პასუხის-გებაში არის მიცემული. სამინისტროს უპასუხნია, რუსეთის იმპერიის საზღვრებში მღვდელი გაპონი არ იმყოფებაო. („სლოვო“).

შავი რაზმი. ვოლოგდიდან სწერენ გაზეთებს: „უკანასკნელ დროს ქალაქი მეტად აღელვებული იყო მართლა საშინელ ხმებით. ადგილობრივ „შავ რაზმის“ წარმომადგენელთ გადაეწყვიტათ—ბაზრობაზე ვცემოთ გიმნაზისტებსა და რეალისტებსო („შავი რაზმები“ ბევრ ქალაქშია ეხლა გამართული, რომ ძალმომრეობით დააშინონ რუსეთის განახლების მსურველნი). სასწავლებლების უფროსები და მცხოვრებნი შიშით მოელოდნენ ამ დღეს, მით უფრო, რომ მოსწავლეთა ამგვარ ცემას რამდენჯერმე ჰქონდა ადგილი... თავის დაცვისათვის ბევრმა მოსწავლემ რევოლვერი შეიძინა და უამისოთ გარედ არ გამოდიოდნენ. ვაჭრებიც მოემზადნენ; ნოქრებს რევოლვერები დაურიგეს იმ შემთხვევისათვის, თუ „პატრიოტი“ ხულიგანები დაეცემოდნენ ლაზიებს. გიმნაზისტები ხომ მომავალი სტუდენტები არიან, მაშასადამე, „ბუნტოვშჩიკები“ და უნდა ჭკუა ვასწავლოთ“-ო, ამბობდნენ ეს ახალმოდის დამცველები წესიერებისა. („რ. ვედ.“).

ვარშავაში დახოცილნი. არეულობის დროს ვარშავაში დახოცილთა ოფიციალურ სიის გამო „პრავდა“-ს შემდეგი საყურადღებო მოსაზრებანი მოჰყავს: „სულ მოკლულია და მოკვდა ჭრილობისაგან 93 სული, მათ შორის 12 ქალიც; სარწმუნოების მიხედვით 15 ებრაელია, 2 მართლმადიდებელი, 2 ლოთრანგი, 1 მაჰმადიანი და დანარჩენი კათოლიკენი. თუ მოკლულთა საზოგადოებრივ მდგომარეობას მივიღებთ მხედველობაში, მოულოდნელი სურათი წარმოგვიდგება თვალწინ: უწესოებისა და ძარცვა-გლეჯის ჩამდენნი, როგორც უკვე დამტკიცებულია, იყვნენ პროფესიონალური ქურდები და ხულიგანები—ამათ ისარგებლეს გაფიცვით და საზოგადოების აღელვებულ მდგომარეობით. ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ ესენი მეტი უნდა დაღუპულიყვნენ; ნამდვილად-კი სულ სხვას ვხედავთ. ოფიციალურ სიაში მოკლულის სახელსა და გვართან ერთად აღნიშნულია ხელოვნებაც. და აი რას ვკითხულობთ ამ სიაში: 66 მუშა ყოფილა, 17 მოქალაქე სხვა-და-სხვა პროფესიისა, 2 მოხელე, 1 სტუდენტი, 1 ჯარის კაცი და მხოლოდ 4 „არსად არ ჩაწერილნი“. აქედან გამოდის, რომ ვინც ძარცვავდა დუქნებს, ამტვრევდა ფანჯრებს, თითქმის სრულიად უვნებლად დაბრუნდნენ ბრძოლის ველიდან“.

ს. ი. ვიტტე, მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე, როგორც ისმის, დაინიშნება სახელმწიფო კანცლერად; ადმირალი ალექსეევი დაინიშნება მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარედ. მტკიცდება ხმა, რომ ტრეპოვი იქნება სახელმწიფო პოლიციის უფროსად; ეხლანდელი გრადონაჩალნიკი პეტერბურგისა მიიღებს პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორობას, მაგრამ ის საგანგებო უფლებანი აღარ ექნება.

მწერლობის მდგომარეობა. გაზეთ „იურისტ“-ის ცნობებით, 1865 წლიდან დღემდე დაახლოვებით დაუსჯიათ 581 პერიოდული გამოცემა, მოუსპიათ 4 წიგნი ჟურნალისა და 129 წიგნი, უწინასწარ ცენზუროდ გამოცემული. სხვათა შორის, მოუსპიათ ჰობსის „ლევიაფანი“, სპინოზის „ეთიკა“, ლეკკის თხზულება „რაციონალისმის გაჩენა და გავლენა ევროპაში“, მისივე „ზნეობის ისტორია ევროპაში კარლოს დიდამდე“, ლეტურნოს „ზნეობის ევოლიუცია“, ელისეევის თხზულებათა კრებული და სხვა.

ზემოთ მოყვანილი რიცხვი 4 და 129 გარეგნად რომ შევხედოთ, ბევრი არ არის, მაგრამ ეკზემპლიარის რაოდენობას თუ მივიღებთ მხედველობაში, სულ სხვა გამოვა: სულ უკანასკნელი 266 ათასი ეკზემპლიარია მოსპობილი.

პრესსა

—

გაზეთ „რუს“-ის № 33-ში დაბეჭდილია სამი წერილი კავკასიის მდგომარეობისა და საჭიროებათა შესახებ; ერთი—დავ. ბაქრაძისა, მეორე—სი-ნისა და მესამე—სომხისა; პირველი ორი წერილი საქართველოს შეეხება და აღნიშნავს ჩვენის ქვეყნის სხვა და სხვა შევიწროებასა და საჭიროებას. სამსავე წერილს უძღვის „რუს“-ის სარედაქციო წერილი, რომელიც მეტად საყურადღებოა და ამიტომ თითქმის შეუმოკლებლად მოგვყავს აქ:

> დღეს ვბეჭდავთ რამდენსამე წერილს კავკასიის საკითხების შესახებ: ერთს—სომხისას; ორს—ქართველებისას; უკანასკნელთა წერილები უფრო დასაბუთებულია და მჭევრმეტყველ სურათს გვიხატავენ. წერილები საგულისხმიეროა არა მარტო ჩვენთვის, რუსებისათვის, არამედ პოლონელთათვისაც. პოლონელებს ჰგონიათ, რომ რუსეთი მათ ავიწროებს იმის გამო, რომ პოლონეთი ამ 40 წლის წინად აჯანყდა და რუსეთის მთავრობა სამაგიეროს უხდის ეხლაო. რუსებსაც ეს გარემოება მიაჩნიათ პოლონეთის შევიწროების მთავარ მიზეზად და ამასთანავე ბევრსა ხსნიან კათოლიციზმის ინტრიგებით. მაგრამ წაიკითხეთ ქართველთა წერილები და დაინახავთ, რომ პოლონეთისა და რუსეთის საზოგადოებანი სცდებიან პოლონეთის საკითხის ახსნაში. თქვენ დაინახავთ, რომ საქართველოს მდგომარეობა,—იმ საქართველოსი, რომელიც თავის ნებით შეუერთდა ერთმორწმუნე რუსეთს და არასოდეს არ აჯანყებულა,—იმგვარივეა, როგორც პოლონეთისა; თქვენ დაინახავთ, რომ საცოდავი საქართველო, რომელმაც ბევრი სახელოვანი მოღვაწე მოგვცა და ბევრი სისხლი დაღვარა ჩვენის სახელმწიფოსათვის, იმგვარსავე უნუგეშო მდგომარეობაშია და იმგვარსავე განსაკუთრებულ ყოფაში გვყავს ჩაყენებული, როგორშიაც „მეამბოხე“ პოლონეთია. პოლონეთშიაცა და საქართველოშიაც ერთნაირი რეჟიმი ჰსუფევს და ამიტომაც ორისავე ერის ჩივილი ერთმანეთს წააგავს....
>
> პირველად ყოვლისა ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველოშიაც უაზროდ და უსარგებლოდ სდევნიან და შეურაცხყოფენ სამშობლო ენას ვითომ იმ აზრით, რომ სახელმწიფო ენის დასამკვიდრებლად არის ეს საჭიროო. სამშობლო ენის დევნა ერთნაირად სწარმოებს საქართველოსა და პოლონეთში,—იმდენად ერთნაირად, რომ იქაც და აქაც ადგილობრივი ენა რუსებმა „ძაღლურ“ ენად მონათლეს. სკოლის საქმე საქართველოშიაც ისე ცუდათ ყოფილა დაყენებული, როგორც პოლონეთში, ისევე პედაგოგიურ პრინციპებისა და სად პოლიტიკურ სისტემის წინააღმდეგ; იქაც და აქაც სწავლება იწყება ბავშვებისათვის გაუგებარს ენაზე და ამიტომ პირველისავე ნაბიჯიდან სწავლება ტანჯვად ხდება. სამშობლო ენა იჩაგრება არა მარტო სკოლაში, თვით ეკლესიაშიაც-კი; თურმე მართლმადიდებელი ქართველები ამ მხრით იმავე გაჭირვებაში ჩაგვიყენებია, როგორც კათოლიკები: ქართულ მართლმადიდებელ ტაძრის აგებაც ისეთივე ძნელი საქმე ყოფილა რუსეთში, როგორც კათოლიკეთა კასტიოლისა. სასამართლოს საქმეშიაც შევიწროებულია ქართული ენა: სამართალი სწარმოებს უიც თარჯიმანების შემწეობით. უმაღლესი ადმინისტრაცია სულ რუსებისაგან არის შემდგარი, ამასთანავე იმგვარისავე ბიუროკრატიულის თვისებებით ყოფილა აღჭურვილი კავკასიაში, როგორითაც პოლონეთშია. რუსების სახელი იმგვარადვე სძულთ კავკასიაში, როგორც პოლონეთში და ეს სულ ჩვენს „ჩინოვნიკების“ მეოხებით.
>
> ბოლოს ავიღოთ სადგილ-მამულო საკითხი. აქაც პირობები ერთნაირი ყოფილა, ერთნაირად ყოფილან შევიწროებულნი ქართველებიცა და პოლონელებიც; ქართველები, როგორც სჩანს, კიდევ უფრო მეტად, რადგან მთავრობის გარდა ქართველ გლეხებს ცუდათ ეპყრობიან ქართველი მემამულეები...
>
> ერთის სიტყვით, ყველგან ვხედავთ ერთნაირს შევიწროებას ერებისას,—შევიწროებას უაზროს, აღმაშფოთებელს. თითქოს ჩვენ—რუსები განგებ ვცდილობთ ყოველმხრიდან მტრები და მოძულეები გავიჩინოთ... სხვა-და-სხვა ერების დაჩაგვრა რაღაც აუცილებელ და შეუდრეკელ კანონად გვაქვს აღიარებული; მაგრამ ამ სისტემამ დღემდის ვერაფერი მოგვცა, პირიქით, და მადლობა ღმერთსაც, ვერსად უცხო ერები ვერ დავიმონავეთ; ვერა თუ ვერ მოვსპეთ, პირიქით ხელი შევუწყეთ მათ შეერთებასა და გამოვიწვიეთ საკუთარ ეროვნულ ცხოვრებისათვის.
>
> ეხლა ჩვენ იძულებულნი ვართ ანგარიში გავუწიოთ იმ გარემოებას, რომ ეს ერები კულტურულ და თავისუფალ ცხოვრებისათვის მომზადებიან. სისულელეა და საშიშიც მხედველობაში არ მივიღოთ ეს გარემოება... დროა უკუვაგდოთ სეპარატიზმის შიში და მშვიდობიანად, კეთილის სურვილით შევხედოთ არა რუსთა მდგომარეობას, დავაკმაყოფილოთ მათი სამართლიანი მოთხოვნა-საჭიროებანი. დროა ვიმუშაოთ ყველა ერების და რუსების შეერთებაზე საერთო ინტერესებით. ასეთი ინტერესები არის და მეტად დიდმნიშვნელოვანიც. მიეცით მხოლოდ ხალხებს შეძლება დაუბრკოლებლად ანვითარონ თავიანთი ეროვნული ცხოვრება და მერე თითონაც აღარ მოინდომებენ რუსეთისაგან განშორებას.
>
> მაგრამ თავიანთ საჭიროებაზე და ეროვნულ ცხოვრების მთავარ საფუძვლებზე არა რუსებს უნდა შეეძლოთ რაც შეიძლება ჩქარა გამოსთქვან, რათა თავიდან ავიცილოთ სახელმწიფოს დაქსაქსვა. აი ამიტომაც პოლონეთმა, ლიტვამ და კავკასიამაც უთუოდ უნდა მიიღონ მონაწილეობა „ზემსკი სობორ“-ში. არა-რუსები ცოტანი არიან და მთავარ როლს ვერ ითამაშებენ, მაგრამ დროზე უნდა მოვისმინოთ მათი ხმა, რათა ჩვენს მრავალტანჯულ სახელმწიფოს ეხლავე მოვაშოროთ ძლიერ საშიში სენი დაყოფისა და დანაწილებისა.

თეატრი

—

ქუთაისი. („მომხიბლავი ზღაპარი“ 4 მოქმედებიანი პიესა პოტაპენკოსი, თარგ. შ. დავითაშვილისა; ბენეფისი დავითაშვილის ქალისა, 13 თებერვალი). ნატაშა ბობროვისას, წვრიმან მოხელეს ქალიშვილს სახელმწიფო ხარჯით დაუსრულებია სწავლა ქალთა ინსტიტუტში, სადაც მეტ-წილად მაღალისა და შეძლებულ წოდების ასულნი სწავლობენ. აქ განუცდია მას გემო კაი ცხოვრებისა და მიზეზიც ეს არის, რომ სწავლის დასრულების შემდეგ სრულიად ვერ შეუფერებია უკიდურესი სიღარიბე ქვრივად დარჩენილის თავის დედის ოჯახისა. ნატაშა სიამოვნებით, აღტაცებით მოიგონებს ინსტიტუტში გავლილს ხანას; წარჩინებულ ოჯახების ქალებთან მეგობრობას, გართობას, ცეკვას, ცქრიალს, უდარდელობას. დაბრუნდა შინ სწავლის დასრულების შემდეგ და სულ სხვა სურათსა ხედავს, სიღარიბე, ლუკმა პურისათვის ზრუნვა, მუდამ დედის ბუზღუნი, სტუდენტის ძმის სირბილი გაკვეთილების საძებრად და ყოველ ამას დასტალოლად კიდე საბრალოსა და ღარიბის, სამთუმნიან მოჯამაგირის ატორლიალება. მამისაგან ნაანდერძევ ფულით ურჩევენ ნატაშას, სკოლა დააარსოს... მაგრამ არც ეს აზრი მოსწონს, აქაც გაჭირვებას ხედავს და მომავალში სიღარიბეს და შევიწროებას... ნატაშასა და იმის ღარიბ მშობელ ოჯახის შორის გაწვავდება დამოკიდებულება და ერთს საღამოს თავს დაუკრავს და ეთხოვება ამ ოჯახს. ცივა—ზამთარია. სად შეაფაროს თავი? მოაგონდება გრაფი იგორსკი, რომელიც იმ დღეს მათსა იყო. ეს გრაფი ნატაშას სტუდენტ ძმის განცხადებამ მიიყვანა მათსა. წარმოიდგინეთ—ამ მდიდარს გრაფს დაუგდია თავ-აღებული ცხოვრება, ხელი მიუყვია შრომისათვის, სწერს რაღაც სამეცნიერო წიგნს და ამ თავის შრომისათვის მომხმარედ სჭირია ფრანგულ ენიდან მთარგმნელი. ამ გვარ მთარგმნელის განცხადება იყო ნატაშას ძმისა და ამ განცხადებამ მოიყვანა გრაფ იგორსკი ნატაშას ოჯახში. ამ გრაფის კარებს მიადგა ნატაშა, იგორსკიმ სიამოვნებით გაუღო კარები, ცეცხლის პირას დასვა გაციებული ქალი, ერთი ჭიქა მაგარი ღვინოც მიაწოდა. პირველ წამებში ნატაშა თითქოს გრძნობს უხერხულობას, რომ ასე თავ-აღებულად შემოიჭრა ამ უცხო კაცთან, თუმცა ცნობით ადრეც, ორი წლის წინად, იცნობდა იგი გრაფს, ყოფილა ორის კვირითაც ამის ოჯახში. გრაფის და, მამზელ ლიზა და ნატაშა ერთად სწავლობდნენ ინსტიტუტში, საუკეთესო ამხანაგები იყვნენ და ერთი კანიკულის დრო გრაფისა და, მამზელ ლიზის ოჯახშიც გაატარა ნატაშამ... მაგრამ ნატაშას მაინც კიდევ არ უნდა დარჩეს გრაფისას, რომელიც ეხლა ცალკე დგას ოჯახისაგან და გრაფი არ უშვებს მერე კი სითბომ, ერთმა ჭიქა ღვინომაც და მდიდრულ მორთულ-მოკაზმულობამ გავლენა იქონიეს. ნატაშა დარჩა იმ ღამეს, მეორეს, მესამეს, თვე, ორი თვე, მეტიც, თითქოს საუკუნოდ... მაგრამ, არა! ნატაშას მშობლებმა მალე მიაკვლიეს, საცა შეეფარებია თავი მას და აგრძნობინეს, რომ ოჯახის თავის მოჭრაა ასე უკანონოდ უცხო კაცთან დაკავშირება. თვით გრაფის ოჯახშიაც, საცა პირველ ხანებში თითქოს საოცნებო „მომხიბლავს ზღაპარს“ მიაღწია ნატაშამ, ნეტარებდა და ფუფუნებდა—ამ ოჯახშიაც ბევრი შხამი, შეხვდა მას. პირველი ისა, რომ გრაფი საკუთარს დას მამზელ ლიზს არიდებს მას. ა. მამზელ ლიზ დაქვეითებულ ოჯახის საქმეების გამოსაკეთებლად ერთს ვისმე ფუქსავატ, ქუირს არისტოკრატს მიჰყვება. გრაფი, როგორც მოვიხსენეთ, ცალკე სცხოვრობს ბიძისაგან ნაანდერძევ ქონებით. დედა ამისმა გრაფინიამ გაფლანგა გრაფ იგორსკის ქონება და ეხლა ამ ცხოვრებისაგან გათელილს არისტოკრატს, მილიონერს ჩაფრენიან, რო ოჯახი გამოაბრუნონ მამზელ ლიზას მითხოვებით. გრაფ იგორსკის მოუხერხებლად მიაჩნია თავის და დაუახლოვოს ნატაშას, თუმცა ამ ნატაშას აღმერთებს, უყვარს იგი თავ-დავიწყებამდის. ნატაშა იგებს ამ ერთს შხამს და ეხლა მეორეც მოელის. გრაფის სასიძო, ფუქსავატი არისტოკრატი, ნატაშას საუკეთესო ნაამხანაგარის საქმრო იხელთებს დროს და არშიყობას უმართავს მას, სამარცხვინო წინადადებას აძლევს... ეს ორი... მესამეც კიდე გრაფ იგორსკის სახლში ექიმი დადის ერთი, ნატაშას სწამლობს ნერვების ავადმყოფობისაგან. ამასაც შეჰყვარებია ნატაშა და ხელსა სთხოვს. აქ კიდე მამზელ ლიზიც ეუბნება ნატაშას, რო ამ გვარს წინადადებებს ხელად ისეთს ქალებს აძლევენ, რომელნიც ფულით იშოვებიანო... აივსო ფიალა... ნატაშა სტოვებს ამ სახლსაც და მიდის კვლავ საოცნებო, „მომხიბლავ ზღაპრის“ საძებლად. იგი ეხლა ჰფიქრობს შრომას. თუმცა გრაფი კანონიერად შეუღლების წინადადებას აძლევს, მაგრამ არ თანხმდება და მიდის.

პიესა კარგად არის დაწერილი, შიგ მარჯვედ არის გატარებული ახლანდელ დროის ქალთა აღზრდის სისტემა, მოუმზადებლობა ცხოვრებისათვის მუდამ ნავთ-საყუდარის ძებნაში...

ახლა მოთამაშეებზე... პიესამ საერთოდ გვარიანად ჩაიარა, თუმცა ეს სიტყვა „გვარიანად“ მოუხერხებელია როგორღაც სცენისათვის. სცენა სურათია ცხოვრებისა და ამ სურათის დასახატავად ორი საზომი უნდა იყოს: პირველი—შევნებული, ნამდვილი წარმოდგენა ამ სურათისა და მეორეც სუსტი დასურათხატება მისი... პიესის გმირის, ნატაშას როლი სავსებით ვერ დასძლია და ვერ დაგვიხატა მობენეფისემ. საზოგადოებას მოსწონს დავითაშვილის ქალი, როგორც სანდომიანი მოთამაშე, მერცია და როზა ბერნტ ყველას ახსოვს, მხოლოდ ნატაშა ბობროვის ქალი იმდენად უნაკლულოდ ვერ წარმოგვიდგინა ამ ახალგაზდა მოთამაშემ, რომ პირველ როლებთან ეგეც მოვიგონეთ ხოლმე. ამ როლის ამსრულებლისათვის საჭიროა სცენის დარჯაკში დიდის ხნის გავლა. ამიტომაც იმოდა ამ ახალგაზდა მოთამაშის თამაში ყალბი კილოვები მწუხარებიდან მხიარულებაში, აღმოკვნესაში... უფრო სწორე კილო ჰქონდა დავითაშვილის ქალს მესამე მოქმედებაში, ხოლოდ საერთო შთაბეჭდილება ვერ გამოისყიდა ერთმა სცენამ. დრო და მეცადინეობა და დარწმუნებული ვართ, დავითაშვილის ქალი მძიმე როლებსაც დასძლევს. გრაფ იგორსკის ვ. ს. მესხიშვილი არდგენდა. კარგი იყო, როგორც ყოველთვის და ყოველს როლში. დანარჩენი მოთამაშენიც „გვარიანად“-ს ხელს უწყობდნენ. ხოლო საერთოდ კი უნდა აღვნიშნოთ, რო საბრალო სუფლიორს მეტს ჯაფას აყენებდნენ. და ეს სუფლიორიც კარგს დროს გავიხსენეთ.

შემდეგი წარმოდგენა, ხუთშაბათს, სუფლიორის საბენეფისოდ არის დანიშნული. მ. მარჯანიშვილი აგერ ხუთმეტ წელიწადზე მეტია, რაც ამ მძიმე უღელს ეჭაპანწყვეტება.

წერილი რედაქციის მიმართ

—

მ. ხ. ბატონო რედაქტორო!

13 თებერვალს, პატივცემულ გაზეთ „კავკაზ“-ის 41 №-ში, „ტფ. ქრონიკის“ განყოფილებაში დაბეჭდილი იყო შენიშვნა, რომ კავკასიის მთავარმართებლის თანამდებობის აღმასრულებელს გენ.-ლეიტენანტს ი. დ. მალამას წარუდგა დეპუტაცია, რომელიც შესდგებოდა ტფ. გუბერნიის თავად. აზნაურთა წინამძღოლის, ტფ. ქალაქის მოურავის, შეიხ-ულ-ისლამის თანამდებობის აღმასრულებელის და საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლებისაგან; შენიშვნის ავტორის სიტყვით, დეპუტაციამ ვითომ სთხოვა კავკასიის მთავარმართებელს ენერგიულად ჩაერიოს ადმინისტრაცია ბაქოს მცხოვრებთა დამშვიდების საქმეშიო“.

მე მიმიწვია ბ-ნ ტფილისის ქალაქის მოურავმა, როგორც ტფილისის მცხოვრები, რათა მონაწილეობა მიმეღო თათბირში ბაქოს მომხდარ სამწუხარო ამბების შესახებ; მივიღე მონაწილეობა დეპუტაციაში, რომელიც წარუდგა მთავარმართებელს და, როგორც გუბერნიის უმაღლეს წოდების წარმომადგენელს, ვალად მხდა ტფილისის ყველა მცხოვრებთა და ერთა წარმომადგენლების შუამდგომლობა გადამეცა მთავარმართებლისათვის. ამიტომ ვიჩქარი შევასწორო „კავკაზ“-ში დაბეჭდილი შენიშვნა.

ტფილისის მცხოვრებთა წარმომადგენელთ არ შეეძლოთ ეთხოვათ მთავარმართებლისათვის რაიმე ადმინისტრატიულ ღონისძიებათა მიღება და მეც, ჩემის მდგომარეობის მიხედვით, არ შემეძლო ამ მხრივ რამე მერჩია. დეპუტაციამ მოწიწებით მიჰმართა კავკასიის მმართველს და სთხოვა, სამშობლოსადმი საერთო სიყვარულის ძალით, ჩვენის უდიდესის სახელმწიფოს სასარგებლოდ მოერიგებინა ერები, თანაც მიუთითა უხუცეს თავ. ი. გ. ამილახვარს, რომელმაც საერთო პატივისცემა დაიმსახურა და რომელმაც ჩეჩნეთში მოქმედებით დაამტკიცა, რომ შეიძლება აღელვებულ ხალხის დამშვიდება ურეპრესსიოთ; დეპუტაციის აზრით, ამ პირს შეუძლია დაამშვიდოს ჩვენი მოძმენი ქ. ბაქოში. სხვა შუამდგომლობა დეპუტაციას არ წარუდგენია და მეც, ჩემის პირადის რწმენით და 20 წლის სამსახურის მაგალითით, ნებას არ მივცემდი ჩემს თავს მეთხოვა ენერგიულ ადმინისტრატიულ ღონისძიებათა მიღება, რადგან ამგვარ ღონისძიებათ არ შეუძლიათ დააკმაყოფილონ საზოგადო საჭიროებანი, გააწესრიგონ წოდებრივი და ეროვნული ურთიერთობა და მხოლოდ დროებით გვაშორებენ თავიდან უსაჭიროეს საკითხთა გადაწყვეტის საქმეს.

მიიღეთ და სხვა

თავადი დავით მელიქიშვილი.

წერილები

თელავი. რა აკლია თელავს? ყველაფერი. რა აქვს? ყველაფერი. ამ ორ კითხვაზე ერთნაირად შემიძლიან ვუპასუხო. აქვს, მაგ. ამბულატორია, ქალაქო საქონლის ბაკი ხორცის ბაქტერიოლოგიურად გამოსაკვლევი მოწყობილებანი, ხიდი და სხვა. არა აქვს იგივე ამბულატორია და სხვები. ეს ყველაფერი არსებობს ქაღალდზე, ნამდვილად კი არაფერია. ამბულატორიის დაარსებას ყველა მოუთმენლად მოელოდა. დააარსეს და დაიწყო კიდეც მოქმედება, მაგრამ მალე მოესპო დღენი და სული განუტევა. ისეთ პირობებით იყო დაარსებული, რომ აუცილებლად ასეც უნდა მომხდარიყო. ამბულატორიისთვის ქალაქმა ძლიერ ნაკლებად გაიღო ფული. ექიმის ჯამაგირად 600 მან. დანიშნა წელიწადში და ეს-კი ყველასათვის ცხადია, რომ ასეთ ჯამაგირზე არავინ დასთანხმდებოდა, თუ ისევ სამსახურში მყოფი არა, რომელიც მხოლოდ რამდენსამე საათს შესწირავდა. მართლაც პირველად მოიწვიეს ადგილობრივი სამხედრო ექიმი, რომელიც რამდენიმე თვის შემდეგ სხვაგან გადაიყვანეს და ამბულატორიამაც მოსპო არსებობა. რასაკვირველია, სხვისა ანაბარად საქმე ვერ გაკეთდება და ვერ კეთდება. არ ვიცი, რასა ფიქრობს ეხლა თელავის თვითმმართველობა: ელოდება ისეთ შემთხვევას, რომ კიდევ გამოჩნდეს ვინმე და ამ ჯამაგირზე დასთანხმდეს, თუ სრულებით გადასწყვიტა მისი მოსპობა. თუ ისევ წინანდელ პირობებში დაიწყო მოქმედება ვიმეორებ, მაინცა და მაინც ისეთ დახმარებას ვერ გაუწევს თელავის მცხოვრებთ, როგორც განსაკუთრებით მისთვის მიწვეული კერძო ექიმი. თუ უნდათ მოსპონ—რაღად გახსნეს, განა რომ ყველამ დაინახა მისი საჭიროება, მაგრამ ბოლო კი არ მიადევნეს იქნება ვისმე ჰგონია, რომ თელავში მეტია, არ ესაჭიროება. ამას იტყვის მხოლოდ ის, ვინც მარტო თელავის ახალ ნაწილს იცნობს, ვისაც არა ჰყავს გაცნობილი ქალაქის განაპირა მხრის მცხოვრებნი, სადაც მარტო მუშა-დღიურად მარჩენელი ხალხი სცხოვრობს. როგორ უკიდურეს სიღარიბეში არიან, ძლივ-ძლიობით არჩენენ ცოლშვილს და ავადმყოფობის დროს ხომ სავსებით მოკლებულნი არიან საექიმო დახმარებას. იქნება როგორმე ერთხელ მიიწვიონ ექიმი, მაგრამ მეორე-მესამედ-კი ვერა, შეუძლებლობისა გამო. მე თვითონ რამდენჯერმე მინახავს ავადმყოფი, გარედ მიწაზე მწოლიარე, ორად მოკრუნჩხული, რასაკვირველია, უწამლოდ. სად არის მისთვის ექიმის რჩევა-დარიგება, სად არის მისთვის წესიერი მოვლა-წამლობა. განა ქალაქის რწმუნებულთ არა მართებთ ყველა ამას ყურადღება მიაქციონ, მაგრამ რა?! ამას წინად თვითმმართველობას შენობა დაეჭირა ამბულატორიისთვისაო და თვითმმართველობა კი მოთავსდა შიგ. თუ ჩვენმა ქალაქის თვითმმართველობამ კიდევ მოისურვა ამბულატორიის არსებობის გაგრძელება, რისაც სრული იმედია, აუცილებლად პირობები უნდა შეიცვალოს: ექიმის ჯამაგირს, თუ მეტი ნარა 400 მან. მაინც უნდა მიუმატოს და შინ მისაწვევად ფეხის ქირად მცირე ფასი უნდა დააწესოს. ამ პირობებით, მგონი, ადვილია კერძო ექიმის შოვნა და მხოლოდ ასე შეიძლება ამბულატორიის არსებობის გაგრძელება და ნაყოფის გამოღება.

—ლი.

—

ხოფ. მეჯვრისხევი, (ქართლი). საწყალი ჩვენი მეჯვრისხევი! მოატანს გაზაფხული და ჩვენ საჭიროდ! უპირველეს ყოვლისა ფქვილის გოგროხები ძირს გვიჩვენებენ: უკაცრავად კი, მაგრამ სავსეთ გახლავთ სიმინდის ფქვილით, იზრუნეთ რამე მალე, თორემ „ცუდად უკვრენ დალაბანდსაო.“ კაციც რას იზამს, შიმშილი მძიმე გრძნობაა, და ძალაუნებურად უნდა დაფათურდეს, თადარიგს უნდა შეუდგეს. გოგროხა გამოფხეკილს, რასაკვირველია, ფული ვინ მისცა და პირნახულის საშოვნელად ათას ღონესა სცდის; ან ტკბილს დაუკვეთს ვისმე ნახევარ ფასად, ან მძიმე სარგებლით ვალს იშოვნის, ან რამე ნარდს სამუშაოს აიღებს ლარის ფასად და ასე ამ გვარად დროებით დაახუმებს აბობოქრებულს შიმშილს. ჯერჯერობით ჩვენი გლეხი შერიგებულია ამ ნაირ ცხოვრებასა და ფილოსოფიურად სწამს, რომ ღმერთმა ასე მოაწყო საწუთროვო, ზოგი უნდა ტიროდეს და ზოგი კი იცინოდესო; ზოგი სიმინდსაც ვერა შოვობდეს და ზოგს კი თავთუხვი თავზედ საყრელი ჰქონდესო. რწმენაც კარგია.

მეორე დარდი ჩვენ, მეჯვრიხეველთა—მდინარე მეჯუდის ოინებია. გაზაფხულდება და ერთ დავიდარაბას აგვიტეხს ხოლმე. ხან ვის მიეჭრება კარებზედ და ხან ვის ვენახთან. გალაღებულ მებატონესავით წამოგვედავება და მოგვთლის გვარიან ნაჭერსა—დღეს ამას, ხვალ იმას, და ასე ამ გვარად იფართოვებს კალაპოტს, როდესაც ამა კალაპოტის ნახევარიც კი საკმარისია იმისათვის და ჰქმაროდა კიდეც აქამდის. ვერა გაეშველა რა მეჯვრისხეველთ კაცი მოთავე არავინ გამოგვიჩნდა, რომ ეს თვითნება მდინარე ავლაგმოთ და მხოლოდ სასარგებლოდ გარდავაქციოთ და არა სავნებლად. მოდიდების დროს მეჯუდას ნაპირის მეპატრონენი რაღასაც ჩხირკედელაობენ, წნულის ჯინებით ან ფიჩხის კონებით სცდილობენ ხოლმე საკუთრების დაცვას, მაგრამ გაალმასებულს მდინარეს ასეთი საშუალება მცირეოდნავაც ვერ აკავებს და ყოველთვის თავისი გააქვს და სამანს თავის საზღვრისას იქ სვამს, სადაც მოესურვება.

განსაკუთრებით საშიშოა მეჯუდა პატარა მეჯვრისხევისათვის და ესრედ წოდებულ უკულმა სოფლისათვის. ცოტა უყურადღებობა კიდევ და მეჯუდა პატარა მეჯვრისხევის ერთ უბანს მთლად აბარგავს და უკულმა სოფლის შუა ჩაივლის, რასაკვირველია, არა სახეიროდ. ყოვლად სასურველია სოფლის საზოგადო ყრილობამ იღონოს რამე ამ საქმეზედ და შეერთებულის ძალღონით მოსპოს მდინარის ასეთი ვნება. ამასთანავე ვიტყვით, რომ დიდი მეჯვრისხევის დიდ ნაწილს თითქმის მხოლოდ ერთი კომლი გლეხი კაცი იცავს ამ მდინარისაგან. ამ გლეხის სახლკარი და ვენახი სწორედ სახიფათო ადგილს არის და იგიც ყოველ ღონეს ხმარობს წინააღუდგეს ამა სტიქიონს და თავისი ნაოფლი არა დაანებოს რა. ჯერჯერობით თავისი გააქვს კიდეც, მაგრამ როდემდის: ერთი კაცი ყოველთვის უღონოა ამისთანა საქმეში. თუმცა მეზობელნი კარგად ხედავენ რა სიკეთეს უშრება ხსენებული გლეხი, მაგრამ ერთხელ ერთი ურმით არავინ დახმარებია. ასეთია ჩვენი ერთობა. ვიმეორებთ, მოთავე-გულშემატკივარი კაცია საჭირო, რომ ყოველივე ეს ფათერაკი ავიცილოთ თავიდან. შეერთებულის ძალით ყოველთვის ყველაფერი უძლეველიც ძლეულა და ეს ხომ ადვილი დასაძლევია.

დასასრულ ერთი ინციდენტიც. ზეწევნითა ღვთისათა, ჩვენი მეჯვრისხევი [illegible] ქართული სოფელია ქართველ [illegible]-მოძღვრებით; წირვა-ლოცვაც [illegible] რიგი ქართულადაა, ჩვენებურად. [illegible] ერთი მოძღვართაგანი ახირებულა, აუცილებლად რუსულ ენის მცოდნე დიაკვანი მინდაო, ჩემს მრევლში ყოვლად საჭიროაო. ჩვენ გვიკვირს: რად, რისთვის ან ვისთვის? და ვინაიდან ეს არ მოხდა, ქართველ დიაკვანის (ესე იგი რუსულის არ მცოდნესი) მოსვლამ ქუჩის დემონსტრანცია გამოიწვია, ე. ი. ქუჩაში წმ. მარინეს ეკკლესიის მღვდელი, მნათე და ახლად მოსული მეფსალმუნე მტრულის ფარხმალით დახვდნენ ერთმანეთს. დამსწრე მრევლმა და არა მრევლმა ყოვლად ცუდი შთაბეჭდილება მიიღეს ამ სალამოდან და დღესაც ესა აქვთ სალაყბოდ—რას ხედავთ, რა გვესმის სულიერ პირთაგანაო და სხვა და სხვა. დიაღაც. ამბობენ, უმეტესსაც ვიხილავთო, ვნახოთ. **თორელი**

საზღვარ-გარედ

საფრანგეთი. გაზ. „პტი რესპუბლიკ“-ის თანამშრომელთან საუბრის დროს კომბმა სთქვა, დარწმუნებული ვარ, რომ ეკკლესიისა და სახელმწიფოს განცალკევება საფრანგეთში პარლამენტის სესსის დასრულებამდის განხორციელდებაო. კანონ-პროექტის განხილვას სამხედრო ბეგრის ორ-წლამდე შემცირების შესახებ დიდხანს არ მოუნდება პარლამენტი, რამდენიმე სხდომა მოანდომებს ამ საკითხის გადაწყვეტას, შემდეგ კი პალატა ეკკლესიისა და სახელმწიფოს განცალკევების განხილვას შეუდგება. საზოგადოდ ამ საკითხის უმთავრეს პუნკტებს თანახმად უქერის პალატის უმრავლესობა და ამიტომ ხან-გრძლივი კამათი მოსალოდნელი არ არისო.

დინჯი ყურადღების ღირსია ის მიზეზები, რომელთაც ძირი ამოუთხარეს საფრანგეთში კლერიკალებს, სამღვდელოების გავლენას. ამ მხრივ ფრიად საგულისხმიერო მოვლენაა საფრანგეთის ცხოვრებაში ცნობილი მწერლის ფაბრის წიგნი, რომელშიაც სავსებითაა ნაჩვენები სამღვდელოების შინაგანი ორგანიზაცია, კლერიკალთა მისწრაფების იდუმალი სარჩული.

სამღვდელოებამ სავსებით უარჰყო ქრისტეს მცნების ძირითადი პრინციპი—ძმობა, ერთობა, თანასწორობა და თავისი მოღვაწეობის პრინციპად აღიარა მორჩილება, თითქმის სამხედრო დისციპლინა, ე. ი. განუსჯელად, ხმა ამოუღებლად მიღება რომის პაპის „უბიწო“ ავტორიტეტისა. ბრძანებას გასცემენ და მთელი ჩვენი ჯარი დაიძვრის როგორც ერთი კაციო, სთქვა ერთმა ცნობილმა საფრანგეთის არქიეპისკოპოსმა. ამ სიტყვაში გამომჟღავნებულია სამღვდელოების მისწრაფებათა ნამდვილი გულდვიძლი. ამ პრინციპით გამსჭვალულ სამღვდელოებაში ის ეღირსება ხოლმე დაწინაურებას, რომელსაც სხვებზე უფრო ღრმად და მტკიცედ გაუჯდება ძვალრბილში ეს სამხედრო მცნება ვინც ამ პრინციპს სავსებით შეიგნებს და მორჩილების სკოლაში მასწავლებლობა—მეთაურობას იკისრებს, სასულიერო ჯარში უმაღლესი ხარისხი მიეცემა. წარმოიდგინეთ, მკითხველო, რამდენად უნდა დაემახინჯება სამღვდელოებას სახარების ძირითადი ჭეშმარიტება, რომ იგი ხალხის დაბრმავებისა და დამორჩილების იარაღად გამოიყენება. ფაბრის წიგნში საოცარის ხელოვნებით ნაჩვენებია სამღვდელოების ეს ძირითადი მისწრაფება. კვალ-და-კვალ მისდევს ავტორი ერთი დაწინაურებული სამღვდელო პირის მოღვაწეობას. თვალწინ გვიშლის მის ცხოვრებასა და გულის იდუმალ ზრახვას. მძლავრი ხასიათის მქონე, თავ-მომწონებით აღსავსე, იგი გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებს თავის ხელქვეითთ. შეამჩნევს თუ არა რომელსამე მათგანს თავისუფალ სჯა-ბაასის სურვილს, გონიერ კრიტიკის წადილს, იმ წამსვე ყალხზე შესდგება, საჭირო ზომებს მიმართავს ხოლმე ურჩთა ასალაგმავად. მას ხელთა აქვს უებარი სახსარი თავისი ნების ასასრულებლად: გარს არტყია და თვალებში შეჰყურებს მსახურთა მორჩილი რაზმი. თვითეულმა მათგანმა კარგად იცის, რომ მისი დაწინაურება, წინსვლა ცხოვრების კერძო სარბიელზე მორჩილებაში და ამ მორჩილების სასტიკ სწავლება-განხორციელებაშია. ურჩი მოწაფე ან უნდა განდევნილ იქმნას ამ რკინის დისციპლინით შეჯაჭვულ წრიდან ან სავსებით უნდა შეესისხლ-ხორცოს მას, გაიმსჭვალოს იმისი უსინათლო მრწამსით. საბრალო სულდგმული ბოლო და ბოლოს ემორჩილება თავის ხვედრს, ძალ-ღონე არ შესწევს იმდენად, რომ გაუმკლავდეს ძლიერის დისციპლინით აღჭურვილ რაზმს.

არ შეიძლება არ მოვიყვანოთ აქ შესადარებლად ერთი სამხედრო დიდ-ხარისხოვანი პირის სიტყვები რომლებითაც მან თავის ნაცნობ განათლებულ ახალგაზრდა კაცს მიმართა: „განათლება მიგიღიათ, უმაღლესი მიზანი დაგისახავთ ცხოვრებაში, კაცობრიობის განახლება გწადიათ, ამისდაგვარად მოქმედებთ და მოღვაწეობთ; თქვენ ფიქრობთ რომ ძლიერი სულიერი იარაღი გაქვთ ხელთაო. აბა ერთი სცადეთ და ჩვენ არმიაში ჩაეწერეთ ჯარის კაცად, ჩვენი იარაღი აიღეთ ხელში. ნახავთ, როგორ თანდათან შეგაჩვევთ სხვისი ბრძანების მორჩილებას და თქვენი გონების უარყოფასო. ორ-სამ წელიწადში სრულიად განვდევნით თქვენ არსებიდან თავისუფლებისადმი მაგნე მისწრაფებასო“.

სწორედ ამგვარის მრწამსით არის გამსჭვალული დღეს კლერიკალთა რაზმიც.

საფრანგეთის კლერიკალთა მთავარ-სარდალი პარიზს-კი არ ბრძანდება, რომში აქვს ძველის დროიდან ნაანდერძევი მთავარი შტაბი და საფრანგეთის სამღვდელოების თვალნიც რომისკენაა მიქცეული.

ფაბრის წიგნში უმთავრესი მომქმედი პირის უძლიერესი ჩარჩო—იდუმალი მისწრაფებაა ამ სულიერ მთავარ-სარდლობისადმი. პაპის თავის სამკაული დიდებული ტიარა, დღისით და ღამით ელანდება ამ ღირსეულ გვამს. მისი სხეულის თვითეული ძარღვი ამ ტიარისაკენ მისწრაფებით არის გამსჭვალული. მან კარგად იცის, რა გზა გაიარა ცხოვრებაში რომის პაპმა, როგორ მიაღწია საწადელს, დაწვრილებით შესწავლილი აქვს პაპების ბიოგრაფიები, მათ ცხოვრების სარბიელი და თვითონაც ამ გზას ადგია, რადგან ყველა ეს გზები რომში იყრება.

ამნაირად ფაბრმა თავის წიგნში სავსებით გადაგვიშალა თვალწინ იმ ღირსეულ გვამთა მოღვაწეობა, რომელთაც მძლავრად ჩასჭიდეს ხელი ქრისტეს მცნების ბჭეს, თვითონაც არ შედიან შიგ და სხვებსაც არ უშვებენ შესასვლელად.

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

15 თებერვალი

სახეტუნი, 14 თებერვალი. კარგი დარია, მთელი დილა ცენტრსა და მარჯვენა ფრთაზე საშინელი ზარბაზნების სროლაა.

ნიუ-ჩუანი, 14 თებერვალი. ჩინურ წყაროებიდან იუწყებიან, რომ მთელ ფრონტზე საერთო შეტაკებაა და ამ შეტაკებამ უფრო სერიოზული ხასიათი მიიღო იაპონიის მარჯვენა ფრთაზე. აქ კუროკი ჩრდილოეთისაკენ უვლის რუსებს და ადვილად შესაძლებელია ისევ რკინის გზისაკენ დაახევინოს მათ.

შერბურგი, მესამე ესკადრამ ლუზემი ჩაუშვა შერბურგთან, დაიტვირთა ნახშირით საკუთარ ტრანსპორტებიდან და მერმე გაუდგა გზას დასავლეთისაკენ.

ვაშინგტონი, 13 თებერვალი („რეიტერი“). სახელმწიფო დეპარტამენტის საპატიო წარმომადგენლებმა გადასწყვიტეს ბოლო მოუღონ ხმებს, ვითომც იაპონიასა და რუსეთის შორის მოლაპარაკება იყვეს ზავის ჩამოგდების შესახებ. ეს წარმომადგენლები, იაპონიის ელჩის და გეის ლაპარაკის შემდეგ, აცხადებენ, რომ იაპონიას არ უთხოვნია შტატებისთვის, წინადადება მიეცით რუსეთს ზავის შესახებ და არც რუსეთს დაახლოვებიაო.

პარიზი, 14 თებერვალი („ჰავასი“(. რადგანაც გამომძიებელმა კომისიამ დაასრულა მუშაობა, ამ შემთხვევისთვის ელჩმა ნელიდოვმა საუზმე გამართა მინისტრ დელკასეს და ადმირალ ფურნიეს პატივსაცემლად. დაესწრო მთელი საელჩო და რუსეთის და საფრანგეთის დელეგაციის წევრები.

მოსკოვი, 14 თებერვალი. დილა-ადრიან აუარებელი ხალხი მოგროვდა იმ სასტუმროსთან, სადაც გენერალი სტესელი ჩამოხტა. ხალხი აღტაცებულის ოვაციით მიეგება გენერალს. გენერალმა სთქვა, რომ მან ჯარში მიაღწია უმაღლეს მდგომარეობას და ეს მოხდა თვით ჯარის, რუსეთის ხალხის ძმების და შვილების წყალობით. სწორედ ამათ მომაცილეს ოვაციებით მოსკოვამდე და მოსკოველების ასეთი გულმხურვალე შეხვედრა მე კი არა, მამაც არმიას ეკუთვნის; ხალხის ენტუზიაზმში. ეს—ხალხისავე ძალაა, მაშია გამარჯვების იმედი. იაპონია დაჰკრის იარაღს რუსეთის წინაშეო.—ხვალ ქალაქის საბჭოსაგან გაგზავნილი დეპუტაცია პურ-მარილს მიართმევს გენერალ სტესელს და თაიგულს მისს მეუღლეს.

სარატოვი, 14 თებერვალი. რკინის გზაზე დაიწყო დაუბრკოლებელი მიმოსვლა რკინის გზის სახალხო მატარებელთა.

ირკუტსკი, 14 თებერვალი. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით დაარსდა განსაკუთრებული კომისია, რომლის საქმეა გამოარკვიოს, რამდენი სურსათი და საჭირო საგნებია შენახული ირკუტსკში, რადგანაც ძალიან გაძვირდა ყველაფერი.

პეტერბურგი, 13 თებერვალი. იმ საგანგებო კომიტეტის თავმჯდომარედ, რომელსაც მინდობილი აქვს გადაათვალიეროს სახელმწიფოში წეს-რიგის დასაცველად დადგენილი განსაკუთრებითი კანონდებულება, ინიშნება სახელმწიფო საბჭოს წევრი გრაფი ალექსი პავლეს ძე იგნატიევი, წევრებად ინიშნებიან: სახელმწიფო საბჭოს წევრნი: პეტროვი, პანტელეევი, თავადი ვიაზემსკი, სენატორი ბუტოვსკი და შინაგან საქმეთა მინისტრის მაგიერ სენატორები დურნოვო, გრაფი ბობრინსკი და ტაინი სოვეტნიკები ბარონი კორფი და ზვოლიანსკი. გადასახლებულთა შესახები სამმართველო შინაგან საქმეთა სამინისტროსი აცხადებს, რომ ციმბირში გადასახლება შეწყვეტილია ომის გათავებამდეო.

განჯა, 14 თებერვალი. სომეხთა და მაჰმადიანთა თანადასწრებით სომხების ეკკლესიაში გადაიხადეს პანაშვიდი ბაქოში დაღუპულთა სულის მოსახსენებლად. ორთავე ერების სამღვდელოებამ და ინტელიგენციამ გაჰკიცხა თავიანთ სიტყვებში ბაქოში მომხდარი ამბები და სთხოვა დამსწრეთ, ნუ დაარღვევთ თქვენ შორის არსებულს კეთილ-განწყობილებასო.

ერევანი, 14 თებერვალი. შესდგა კომისია პატივსადებ სომეხთა და მაჰმადიანთაგან, რათა ღონისძიება იხმარონ სომეხთა და მაჰმადიანთა შორის შეტაკების ასაცილებლად.

კამიშინი, 14 თებერვალი. საბჭოს ხმოსანთა ჯგუფი შუამდგომლობს ქალაქის სამმართველოს წინაშე, კვირა-უქმეობით სულ შესწვიტონ და საქმის დღეებში-კი შეამცირონ ვაჭრობა.

ლონდონი, („რეიტერი“), დეპუტატთა პალატა. როცა ლაპარაკი ჰქონდათ იმ გასწორების შესახებ, რომელიც სტევენსონმა შეიტანა ადრესში, სტატს-სეკრეტრის ამხანაგმა პერსიმ განაცხადა, რომ მაკედონიის რეფორმები ვერ მიდის კარგადა. დამნაშავენი არიან რევოლიუციონური კომიტეტები, რომლებიც რეფორმების მოხდენას არ გვაცლიანო. ანილი სცდილობს მხარი დაუჭიროს რუსეთსა და ავსტრიას ამის შემდეგ ბალფურმა სთქვა, რომ მდგომარეობა წახდება, თუ ინგლისი უარს იტყვის ევროპის კონცერტში მონაწილეობის მიღებაზეო. პალატამ უგუაგდო შეტანილი გასწორება. ლიბერალმა კერლიმ დასაბოლავებელი შესწორება წარუდგინა და მოითხოვა, უარი სთქოს ინგლისმა ბრიუსელის შაქრის კონვენციაზე.

პეტერბურგი. სინოდს მოუვიდა ტამბოვის ყოვლად-სამღვდელო ინოკენტისაგან დეპეშა, რომელშიდაც იუწყება, რომ ყოვლად-სამღვდელოს ტამბოვის რკინის-გზის სახელოსნოების მუშების თხოვნით წირვა და პარაკლისი გადაუხდია, რათა რუსეთის მხედრობას მიენიჭოს გამარჯვება მტერზე და მიეცეს ძალა წინააღუდგეს ბოროტ-გამძრახველ ადამიანთა ჩაგონებას; ხსენებული მუშები არ გაფიცულან სხვებსავით და გადაუწყვეტიათ „საგონ ეკლესია წმინდა ნიკოლოზის სახელობაზე; ამასთანავე შეუკრებიათ 112 მანეთი ომის საჭიროებისათვის; მუშები სთხოვენ, მიიღონ ეს შემოწირულება და თავიანთ სურვილისამებრ მოეპყრან მას. როცა უწმინდესმა სინოდმა მოახსენა ეს ხელმწიფეს, უგანასკნელმა კეთილ ინება და წააწერა: **„გულ-წრფელად ვმადლობ ყველას; მუშების შემოწირულება გადაიცეს პორტ-არტურის გმირების სასარგებლოდ.“**

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

15 თებერვალი.

პეტერბურგი. რუსეთის ელჩის ნელიდოვის დეპეშა გარეშე საქმეთა მინისტრსს, 9 თებერვალს: „საფრანგეთის ელჩს ტოკიოში დაევალა წარუდგინოს იაპონიას მოთხოვნილება იმის შესახებ, რომ პორტ-არტურში კერძო საკუთრების დასაცველად მიღვბულ იქმნას საჭირო ზომები. ელჩისაგან ამბავი მოვიდა, რომ, როგორც იაპონიის მთავრობამ განაცხადა, ადგილობრივი მოხელენი პორტ-არტურში უზრუნველ-ჰყოფენ კერძო საკუთრების ხელ-უხლებლობას, ჰააგის კონვენციის მე-46 მუხლის თანახმათ“.

ლონდონი, 14 თებერვალი. როგორც „ცენტ. ნიუს“-ს გაუგია, პორტ-არტურში ჩაძირულ რუსის გემების ამოსაღებად იაპონიას უყიდნია გემი „ჰერაკლესი“, რომელიც სტოკჰოლმის „ნეპტუნის“ საზოგადოებას ეკუთვნოდა. გემი საუკეთესოდ არის მოწყობილი და ამ ჟამად მარსელში სდგას. ეხლა გემი ნაგასაკში მიდის შვედელ მეზღვაურებით. მისვლისათანავე შეუდგება იგი ჩაძირულ გემების ამოღებას. „ჰერაკლესი“ ეცდება გზაში არ შეხვდეს რუსის მეორე ესკადრას.

ტოკიო. გაზეთები სწერენ, რომ ამ ცოტა ხანში დიდი ბრძოლა მოხდება მანჯურიაშიო. იაპონელთა მარჯვენა ფრთამ გაილაშქრა და ამას გარდა იაპონელებმა თავიანთ დივიზიებს თავი მოუყარეს. უკვე მოხდა შეტაკება რუსის ძლიერ რაზმებთან. იაპონელებმა დაიჭირეს წინდაწინვე დამზადებული პოზიციები. ხაიჩენთან გზა შეაკეთეს. დღემდე იაპონელებმა დაჰკარგეს 70 კაცი.

ტოკიო. დაზარალებული დოკი იაპონელებმა შეაკეთეს. ნავთ-სადგურში საკმაოდ არის ქვა-ნახშირი, რომელიც იაპონელებს შემოდგომამდე ე ყოფათ. ჩაძირული გემების ამოღებას შეუდგებიან მაშინ, როდესაც დათბება.

ჰააგა. როტტერდამში მიღებულ დეპეშის თანახმად, იაპონიის კრეისერს შეუპყრია ჰოლანდიელთა ორი გემი ფორმოზის მახლობლად. იაპონელებს უთქვამთ, ზედ კონტრაბანდა იყოო.

ლონდონი, 14 თებერვალი. ლონდონის ჟურნალ-გაზეთობა შემდეგი აზრისაა ღულის კომისიის გადაწყვეტილების შესახებ: „დეილი ქრონიკლ“-ი: „თუ ფაქტებს ვიქონიებთ სახეში, ინგლისს სრული გამარჯვება დარჩა; დასკვნა კი რუსეთის მხარეზე სტოვებს გამარჯვებასაო. აი კომისიის მოხსეხების დედა-აზრი, მაგრამ, ჩვენის აზრით, ეს გადაწყვეტილება ვერ დააკმაყოფილებს ინგლისის ხალხსაო“.—„მორნინგ პოსტი“ აცხადებს: კომისიის დადგენილება მხარს უჭერს ნეიტრალურ სახელმწიფოების უფლებათა დაცვას და სრულებით ამტკიცებს ინგლისის განცხადებას—მეთევზეთა გემებისათვის სროლა მიუტევებელი საქმეაო. შეგვიძლიან ვიფიქროთ, რომ ამის მაგვარი თავ-დასხმის განმეორება კვლავ, როგორც სამხედრო მოქმედება ისე განიხილებაო;—მთავრობა და თვითონ მეფე ძალიან კმაყოფილი არიან კომისიის განაჩენით. პალატის წევრთა აზრით, კომისიის განაჩენი მოსალოდნელზე უფრო ხელსაყრელია. ერთად ერთი პუნქტი, რომელსაც ვერ შერიგებიან შოვინისტური ორგანოები ეს ისაა, რომ სომისიამ ფრთები შეუკვეცა როჟესტვენსკის რეპუტაციასო.

პეტერბურგი. გენ. კუროპატკინის დეპეშა მისის იმპერატორებითი უდიდებულესობის სახელობაზე 14 თებერვლიდან: „ღამით 12 თებერვალს იაპონელების ორ ბატალიონამდე ჯარი ცხენოსნებით რამდენჯერმე დაეცა მაღლობლებს სოფელ იანსინტუნის დასავლეთით; ყველა იერიში, რიცხვით ათი, უკუგდებულ იქნა. დილით 14 თებერვალს იაპონელებმა ერთხელ კიდევ მოიტანეს იერიში, მაგრამ ამანაც უსარგებლოდ ჩაუარა; ჩვენ წინ იაპონელებს, ასამდე გვამი დარჩა, მაგრამ ვერც იაპონელებს, ვერც ჩვენ, ვერ აგვიკრებია ჯერ კიდევ; ჩვენ დაგვიჭრეს 6 ჯარის კაცი. ზემოთ ჩამოთვლილს უქვეშევრდომილესად მოვახსენებ თქვენს იმპერატორებითი უდიდებულესობას.

პეტერბურგი. უმაღლესად ნაბრძანებია იმ საბჭოში, რომელიც კობეკოს თავმჯდომარეობით შესდგა, ჩაირიცხნენ: საერო განათლების სამინისტროს სამოსწავლო კომიტეტის წევრი სოხინი, საერო განათლების მინისტრის საბჭოს წევრი თავ. გოლიცინი და სტ. სოვ. იოზეფოვიჩი და თავ. წერეთელი.—4-დან 11 თებერვლამდე მთელს იმპერიაში, სახელდობრ ბაქოს გუბერნიაში, მხოლოდ ერთი კაცი გახდა ხოლერით ავად.

ბაქო. დღეს მართლ-მადიდებელთა ეკკლესიაში შეიხ-ულ-ისლამისა, სომეხთა და მაჰმადიანთა სამღვდელოების თანადასწრებით გადახდილ იქნა პარაკლისი წარმოითქვა სიტყვები. ყველა სარწმუნოების სამღვდელოება ურჩევდა ხალხს მშვიდობიანად ცხოვრებას. გუბერნატორის თავმჯდომარეობით მოქმედებს კომიტეტი. დაიწყო გამოძიება ნავთის მწარმოებელთა კრებამ 100 ათასი მანეთი გადასდო დაზარალებულთათვის და დაადგინა, ითხოვოს საქმის საჯაროდ გამოძიება.

რიგი, რიგა-ორიოლის გზაზე აღდგენილ იქნა საქონლის მატარებლების მიმოსვლა.

ნიუ-იორკი. პანამის არხის გამკეთებელ ინჟინერთა კომიტეტმა წინადადება შემოიტანა გაყვანილ იქნას არხი, რომელსაც ძირზე სიგანე 150 და მინიმალური სიღრმე-კი 35 ფუტი უნდა ჰქონდეს. კომიტეტმა გამოიანგარიშა, რომ არხის გათხრას 10-12 წელი მოუნდება, მუშაობა-კი 230 მილ. დოლარი დაჯდებაო.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი.**

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 21 თებერვლისთვის **დანიშნულია საჯარო ვაჭრობა** ქალაქის ადგილის იჯარით გასაცემად. ეს ადგილი ალექსანდრეს ბაღის ბოლოშია. ბუტკის ადგილია. პირობების გასინჯვა შეიძლება გამგეობის მე-4 განყოფილებაში 10-დან 2 საათამდე. (2—6.—1).

ქუთაისის ქალაქის

გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ 1905 წლის 21 თებერვალს, დღის 12 საათზე, გამგეობის დარბაზში მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომელზედაც იჯარით უნდა გაიცეს არჩეულ რიყის ქვით მოკირწვლა შემდეგის ქუჩებისა: მიხეილის, გიმნაზიის, ვორონცოვის, ალექსანდრეს, კათოლიკის, სომხის, ვექილის, ბაზრის, საყასბოს, „პოდგორნი“ ქუჩებისა და ორპირისა და გაბრიელის ქუჩის ნაწილისა, სივრცით სულ 8315 ოთხკუთხ საჟენისა. სავარაუდო აღრიცხვით მთელი სამუშაო ნაანგარიშევია 20,660 მანეთად. ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა წარმოადგინონ ბედ სავარაუდო ჯამის 5% პირობების, სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვისა და სხვათა გაცნობა შეიძლება ქალაქის გამგეობაში ყოველდღეს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდის, გარდა კვირა-უქმე დღეებისა. (3—6—2)

საუკეთესოდ მოწყობილი

ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა

წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.

ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.

პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

პირველი საწყობი შეშისა

გ. ი. კურცხალიასი

ცუდად დაწყობილი **კარგად დაწყობილი**



ანდრეევის ქუჩა დამოენის პირდაპირ. საკუთარის ტყიდან მიღებულია დიდ-ძალი შეშა ყოველგვარ ღირსებისა, რცხილისა, წიფლისა, მუხისა, რთხმელისა და სხვა. მუხის დიდი ბოძები. შეშის სახლში მიტანას ფირმა საკუთარ პოვოზკებით კისრულობს. შეშა იყიდება საჟენობითაც და ფუთობითაც. მყიდველს ნება აქვს შეშის საჟენი თავის თვალ წინ დაადგმევინოს, რადგანაც მსყიდველები ბევრჯელ სტყუვდებიან დადგმულ საჟენებიდან. მეორე განყოფილება იმყოფება ვერის ხიდის ყურთან.

(90—2) **გამგე ნიკოლოზ პავლეს ძე კიკნაძე.**

ქ. ბათუმში

ბ. კილაძის და გ. თავართქილაძის საუკეთესოდ მოწყობილი

სტამბა

მარინსკი პროსპ. ტფილისის სავაჭრო ბანკის სახლში

წიგნის მაღაზია და საკანცელარიო ნივთების საწყობი

დონდუკოვ-კორსაკოვის ქუჩ., იმავე ბანკის სახლში.

1. **სტამბა ღებულობს დასაბეჭდათ:** წიგნებს, ბლანკებს, აფიშებს, პრეის-კურანტებს, კანვერტებს, სადარბაზო ბარათებს და სხ. ყოველ-გვარ სასტამბო საქმეებს: რუსულს, ქართულს, სომხურს და სხვ. ყველა ევროპიულ ენებზე.
2. **წიგნის და საკანცელარიო ნივთების საწყობში მოიპოვება:** ქართულ-რუსული წიგნები და კალენდრები, მრავალგვარი რვეულები, კანტორის წიგნები სხვა და სხვა ზომისა და ღირსების, წიგნის და ფოსტის ქაღალდები, როგორც რუსული, ისე საზღვარ-გარეთის; კანვერტები სავაჭრო და საკანცელარიო; ალბომები, ლენტები გარდაცვალებულთათვის; მხატვართათვის საჭირო იარაღები და სხვა ყოველგვარი სამწერლო და საკანცელარიო ნივთები და სხვ.

გორო-ნაფტანილი

სრულიად აქრობს თავის **ქერტლს, ამაგრებს თმას და ხელს უწყობს თმის ამოსვლას;** ამასთან თმას ნამდვილს სახეს აძლევს.

ნება დართულია სამკურნალო განყოფილებისაგან, როგორც უვნებელი ნივთიერება. საწყობი სააფთიაქო საქონლის კავკასიის ამხანაგობისა ტფილისსა, ბაქოსა და ბათუმში, რუსეთის აფთიაქებსა და სააფთიაქო მაღაზიებში.

ფასი 1 მან. 25 კაპ. (2—2)

ახლად დაბეჭდილი

სამზარეულო

ფასი 1 მან. 50 კაპ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგ. კიოსკში, ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა ჰსურს, მიჰმართონ ქართველთა ამხ. კანტორას, ვანქის ქუჩაზე, ამხ. სტამბაში. (25—12)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით, და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

მცირე წლოვანთა მნაშავეთა ახალშენების და თავშესაფარების საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ პარასკევს, 25 თებერვლისთვის, ტფ. სამოსამართლო პალატის სადგომში, ნაშუადღევის 1 საათზე, დანიშნულია წევრთა ჩვეულებრივი საზოგადო კრება

განსახილველი საგნები.

1. მოხსენება გამგეობის მოქმედების შესახებ 1904 წელს; 2. ფულის ანგარიში 1904 წლისა; 3. გამასწორებელ ახალშენის ანგარიში 1904 წ., 4. სავარაუდო აღრიცხვა 1905 წლისა; 5. სარევიზიო კომისიის მოხსენება; 6. გამგეობის ოთხის წევრის, მათის კანდიდატებისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები; 7. მოხსენება მოზარდთათვის ახალშენში განსაკუთრებულ განყოფილების მოწყობის შესახებ; 8. წინადადება გამგეობისა ს. ბ. ვრასკის საპატიო წევრად არჩევისა და იმის სურათის მოთავსების შესახებ სააქტო დარბაზში.

შენიშვნა. საზოგადო კრება შესდგება, თუ დაესწრო 20 წევრზე არა ნაკლები. (საზოგად. წეს. § 17.). (3—3)



СѢДЕЛЬН.

СПЕЦІЯЛЬН.

Безъ конкуренціи

продаются всевозможн. сѣдла.

მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სობრანიეს ახლოს. (წ.—176 | 104)

Доз. цен. Тифлисъ, 15 февраль 1905 г.

Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—ა.